კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დიმიტრი შაინიძე

საქართველო და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების პოლიტიკური ასპექტები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ კიკნაძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

კსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თბილისი - 2019

ანოტაცია

ნაშრომი გადმოცემულია რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების ისტორიული და თანამედროვე ასპექტები, რომლებიც გავლენას ახდენდა და ახდენს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომლებიცნ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე.

ნაშრომში წარმოდგენილია, აგრეთვე, თურქეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის ძირითადი სეგმენტები, რომლებიც მიმართულია საქართველოსა და, ზოგადად, რეგიონში გავლენის არეალის გასაფართოებლად.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს არჩეული აქვს ევროატლანტიკური კურსი და მისი პარტნიორი დასავლეთი და ნატოა, ნაშრომში შევეცადეთ გაგვეანალიზებინა თუ რა როლს ასრულებს თურქეთი ამ არჩევანის რეალიზებაში და ატარებს თუა არა ამასთანავე იგი თავისი იმპერიალისტურ ინტერესებს. აქვე გაანალიზებული გვაქვს კავკასიის მეორე მსხვილი აქტორის - რუსეთის პოლიტიკა და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების გავლენა საქართველოზე.

ნაშრომში განხილულია ყარსის ხელშეკრულებაც, რომლის გარანტებიც სწორედ რუსეთი და თურქეთია. ხელშეკრულების გაფორმებიდან ასი წლის შემდეგ ეს საკითხი კვლავაც აქტუალურია. ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა საქართველოსთვის ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა და ის საფრთხეები და რისკები, რაც შეიძლება ახლდეს თან.

კვლევის მიზანი იყო გაგვეანალიზებინა და შეგვეფასებინა რუსთ-თურქეთის ურთიერთობები და მათი გავლენა საქართველოზე.

Annotation

Political aspects of Georgia and Russia-Turkey relations

Dimitri Shainidze

The work deals with historical and modern aspects of Russian-Turkish relations that influenced and influences political and economic situation of Georgia and determines the circumstances affecting stability and security of the country.

The work also includes the main segments of Turkish expansionist policies aimed at expanding the area of influence in Georgia and, in the region in general.

Since Georgia has chosen a Euro Atlantic course and its partners are the West and NATO, we have tried to analyze what role Turkey plays in implementing this choice and whether it carries on its imperialistic interests at the same time. Here we have analyzed the policy of the second major actor of the Caucasus – Russia and the impact of Russian-Turkish relations on Georgia.

The work also discusses the Treaty of Kars, the guarantors of which are Russia and Turkey. One hundred years after the conclusion of the Treaty, this issue is still relevant. We have tried to show the importance of this Treaty for Georgia and the threats and risks that can be accompanied by it.

The aim of the study was to analyze and evaluate the relations between Russia and Turkey and their impact on Georgia.

სარჩევი

შესავალი.....5

I. თავი. რუსეთ-თურქეთის ისტორიული ეტაპები და მათი გავლენა საქართველოზე.

1.1 ნაშრომის მეთოდოლოგიური ჩარჩო - პოლიტიკური რეალიზმი, როგორც რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების საფუძველი.....9

1.2 რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები მეცხრამეტე საუკუნეში და ბათუმის ოლქის დაბრუნება საქართველოსთვის.....11

1.3 თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები სდრ-ის პერიოდში.....18

1.4 საქართველო თურქეთის ურთიერთობები 1918-1921 წლებში და ყარსის ხელშეკრულება.....26

II. თავი. ცივი ომი და თურქეთი, როგორც ნატოს ერთერთი დამფუძნებელი

2.1 პოლიტიკური ვითარება მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ და ნატოს შექმნა....33

2.2 საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობები ცივი ომის პერიოდში და საქართველო.....38

2.3 თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები პოსტსაბჭოთა პერიოდში და რუსული ფაქტორის შემცირება.....42

III. თურქული ექსპანსიონიზმი და პოსტსაბჭოთა საქართველო

3.1 დავითოღლუს დოქტრინდა რუსული ინტერესები.....46

3.2 საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები თურქეთთან და რუსული რბილი ძალა.....53

3.3 რუსეთ საქართველოს 2008 წლის ომი და თურქეთი.....58

დასკვნა.....63

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ყოველთვის იქცევდა იმპერიალისტური იდეებით შეპყრობილ სახელმწიფოთა ყურადღებას, მისი სტრატეგიული მნიშვნელობა კი თანამედროვე ეტაპზე ისეთივე მნიშვნელობისაა როგორიც იყო საუკუნეების განმავლობაში. ენერგო რესურსებისათვის ომმა და ენერგო დივერსიფიკაციის აუცილებლობამ რეგიონისადმი ინტერესი გააჩინა გლობალურ დონეზეც, რაც პირდაპირ აისახება მეზობელი სახელმწიფოთა პოლიტიკის რაობაზე. საქართველო გარკვეულწილად მაკინდერისეულ ჰართლენდ ჰგავს, რომლისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა ისტორიის სხვადასხვა პერიოდში და მიმდინარეობს ამჟამადაც.

თემის აქტუალობა: თემაში განხილულია საქართველოსა და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების ის ასპექტები რომლებიც აისახება საქართველოს პოლიტიკურ მდგრადობაზე. თემა აქტუალურია რადგანაც ხაზგასმითაა აღნიშნული თურქეთის ინტერესები საქართველოსადმი და განხილულია მოსალოდნელი საფრთხეები, რომლებიც ნეგატიურად იმოქმედებს საქართველოს უსაფრთხოებაზე. თემის აქტუალურობას განაპირობებს ასევე რუსეთისა და თურქეთის ინტერესების თანხვედრა კავკასიის რეგიონში, რაც აიხსნება რეგიონის უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობით.

საკვლევი კითხვები:

1. რა ზეგავლენას ახდენს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები საქართველოზე?

2. რა საშუალებებს იყენებს თურქეთი და რუსეთი, საქართველოში თავისი ინტერესების გასატარებლად?
3. როგორ ვითარდება რუსეთ-თურქეთისა და საქართველოს ურთიერთობები პოსტ ცივი ომის შემდეგ?

ჰიპოთეზა - რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები გავლენას ახდენს როგორც მთლიანად რეგიონზე ისე საქართველოზე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთმა განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა, რამაც განაპირობა ნეოოსმალისტური მიზნების ჩამოყალიბება და გარკვეულწილად განსაზღვრა თურქეთის რეგიონული პოლიტიკა. 2008 წლის აგვისტოს ომმა ასახვა ჰპოვა თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებზეც, გამოკვეთა რუსეთის დომინაცია რეგიონში, ხოლო თურქეთმა აღნიშნულის დასაბალანსებლად ეკონომიკური ექსპანსიონისტური პოლიტიკა გააძლიერა.

თემის მიზნები და ამოცანები: თემის მთავარი მიზანია ერთიანი ნაშრომის სახით გადმოვცეთ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების, ისტორიული და თანამედროვე ეტაპების რაობა და ამ ურთიერთობების გავლენა საქართველოზე.

კვლევის მეთოდოლოგია: ნაშრომში გამოყენებულია პოლიტიკური რეალიზმის თეორია, რომლის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი სუბიექტი სახელმწიფოა, ძირითადი მამოძრავებელი იდეა-სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები, განმსაზღვრელი ფაქტორი - ძალა (სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური), ხოლო ძირითადი რეგულატორი -ძალთა წონასწორობა, რასაც ემორჩილება საერთაშორისო სამართალი და მორალი.

მეთოდები: ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კონტენტ ანალიზი და პროცესების შედარებითი ანალიზი.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: მოცემული ნაშრომი

გამოადგება რუსეთ-თურქეთ-საქართველოს ურთიერთობით დაინტერესებულ ყველამეცნიერს, პრაქტიკოსს, ანალიტიკოსს და საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტებს. შეიძლება გამოყენებული იქნას სასწავლო კურსებში, ნაშრომი წარმოადგენს თეორიულ კვლევას და შეიძლება გამოყენებულ იქნას, ამ პრობლემატიკის შემდგომი კვლევისთვის.

გამოყენებული ლიტერატურის განხილვა: მოცემულ ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ავტორების მიერ გამოცემული წიგნები, აღნიშნული მასალა უკავშირდება იმ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ განხილულია ნაშრომში.

ქართული დიპლომატიის წელიწდეულში ჯემალ კარალიძის ავტორობით გადმოცემული ინფორმაცია, რომელიც დეტალურად განიხილავს ბათუმის დაბრუნების ისტორიულ ასპექტებს.

შოთა ვადაჭკორიას წიგნში საქართველოს პირველი რესპუბლიკა და ოსმალეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა და ა. სურგულაძის წიგნში საქართველოს და თურქეთის ურთიერთობათა ისტორიისათვის დეტალურად არის განხილული აღნიშნულ სახელმწიფოთა ურთიერთობები სხვადასხვა ეტაპზე, რაც იძლევა ანალიზის მეტ საშუალებას.

ნ. გრიგორიადისის წიგნი ,,დავითოღლუს დოქტრინა და თურქეთის საგარეო პოლიტიკა“ უშუალოდ განხილულია თურქეთის რეგიონალური პოლიტიკის ის დეტალები რაც მას დომინანტ მდგომარეობაში წარმოაჩენს.

იგორ ტორბაკოვი თავის ნაშრომში საქართველოს კრიზისი და რუსეთ თურქეთის ურთიერთობები, აანალიზებს იმ მდგომარეობას, რომელიც რუსეთმა 2008 წლის ომში ჩამოაყალიბა რეგიონის მასშტაბით და კითხვის ნიშანი დაუსვა თურქეთის დომინაციას, ასევე მიმოიხილავს იმ პროცესებს თუ რატომ იყო თურქეთი გაყინულ მდგომარეობაში

დავით კუხალაშვილი უშუალოდ დეტალურად აანალიზებს იმ ფაქტორებს, რამაც უშუალოდ განაპირობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა.

ალექსანდრე რონდელი რუსული რბილი ძალის შესახებ ხაზგასმით გამოყოფს იმ საფრთხეებს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს რუსულ პოლიტიკას, ასევე ხაზს უსვამს მის ხელშემწყობ ფაქტორებზე საქართველოს მასშტაბით.

ზურაბ აბაშიძე თავის ნაშრომში აყალიბებს დეტალურად ცივი ომის მიმდინარეობას და ჰქმნის შესაძლებლობას მარტივად იქნას გაანალიზებული პოსტცივი ომის პერიოდი და ზოგადად ახალი უნიპოლარული სისტემა.

თავი პირველი

რუსეთ თურქეთის ურთიერთობების ისტორიული ეტაპები და მათი გავლენა საქართველოზე

1.1 ნაშრომის მეთოდოლოგიური ჩარჩო - პოლიტიკური რეალიზმი, როგორც რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების საფუძველი

პოლიტიკური რეალიზმი, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ნეორეალიზმის სახელით სხვა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიებისგან განსხვავებით ხატავს მეტად პრაგმატულ სურათს. საერთაშორისო ურთიერთობები წარმოდგენილია მკაცრი გარემოს პირობებში, სადაც ურთიერთობათა სუბიექტების მთავარ თვით მიზანს წარმოადგენს გადარჩენა, სადაც სახელმწიფოებს ერთმანეთისადმი ნდობა მინიმუმამდე აქვთ დაყვანილი.

პოლიტიკური რეალიზმის მიდგომებს საერთაშორისო ურთიერთობებისადმი აყალიბებს ჯონ მარშაიმერი, რომელიც გამოყოფს ხუთ ძირითად მოსაზრებას.

1. პირველი მოსაზრების მიხედვით საერთასორისო ურთიერთობათა სისტემა ანარქიულია, რაც იმას ნიშნავს რომ სისტემა შედგება დამოუკიდებელი აქტორებისგან.
2. მეორე მოსაზრება გვაჩვენებს სახელმწიფოთა მდგომარეობას, რომელთაც ბუნებრივად თანდაყვებათ აგრესიის იარაღი, რომელსაც გამოიყენებენ ერთმანეთის პოლიტიკური ინტერესების საწინააღმდეგოდ.
3. მესამე მოსაზრების თანახმად სახელმწიფოები იმყოფებიან გაურკვევლობის მდგომარეობაში, მსგავსი მდგომარეობის მიზეზი კი არის სხვა სახელმწიფოს განზრახვის განსაზღვრა, იმის ალბათობა რომ მოხდეს განზრახვების ზუსტი განსაზღვრა ალბათობა არის მინიმალური, რადგანა, თითოეული სახელმწიფო მოქმედებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

4. მეოთხე მოსაზრების მიხედვით სახელმწიფოთა უმთავრეს მოტივს საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოადგენს თვითგადარჩენა, რადგან მათთვის უმთავრეს გარემოებას წარმოადგენს სუვერენიტეტის შენარჩუნება.
5. მეხუთე მოსაზრება კი მიუთითებს სახელმწიფოთა რაციონალურობაზე, მიზანი კი წარმოადგენს კვლავ თვითგადარჩენას.

რეალიზმის ცენტრალურ მოსაზრებას წარმოადგენს კონკურენცია და კონფლიქტების საშიშროება სახელმწიფოებს შორის, შესაბამისად ყალიბდება ორი მიზეზი, რაც ხელს უშლის სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განვითარებას; ფარდობითიო მოგება და ღალატის საშიშროება.

ფარდობითი მოგების შემთხვევაში სახელმწიფოები ყურადღებას მხოლოდ მოგებაზე კი არ ამახვილებენ არამედ იმას ანიჭებენ უდიდეს უპირატესობს თუ რამდენად კარგად აქვთ საქმე სხვასთან შედარებით.

ღალატის საშიშროება კი რეალიზმისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, რადგანაც ყოველთვის არსებობს ალბათობა პარტნიორმა სახელმწიფომ შეცვალოს დამოკიდებულება და პოზიციები კონკრეტული საკითხებისადმი ეს კი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ აზრს, რომ პოლიტიკაში მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები არ არსებობენ.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ პოლიტიკური რეალიზმი გახდა საგანი უდიდესი კრიტიკისა, რაც დაკავშირებული იყო ნატოს ფუნქციონირების გაუქმებასთან და საბჭოთა კავშირის დაშლასთან. თუმცა ამ კრიტიკის საპასუხოოდ ნეორეალიზმის დასაცავად უოლცმა გამოაქვეყნა სტატია ,,სტრუქტურული რეალიზმი ცივი ომის შემდეგ“ უოლცის მოსაზრებით საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა არ შეცვლილა, მხოლოდ მოხდა სისტემის შიდა ნაწილებში ცვლილება, რაც საერთაშორისო სისტემასა და მის სტრუქტურაზე გავლენას ვერ ახდენს.

რეალიზმი ძირითადად დამყარებულია სამ მოსაზრებაზე 1. პირველი მოსაზრების თანახმად სახელმწიფოები წარმოადგენენ ძირითად აქტორებს. 2. მეორე პრინციპის თანახმად სახელმწიფოთა ქმედებებს განსაზღვრავს სისტემის სტრუქტურა. მესამე მოსაზრების თანახმად სახელმწიფოებისთვის უმთავრეს მნიშვნელობას წარმოადგენს ძალა და ძლიერება და სახელმწიფოები ერთმანეთს სწორედაც რომ ძალაუფლებისათვის ეჯიბრებიან, რაც მკვეთრად არის გამოხატული რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში რეგიონის მასშტაბით.

,,მაშასადამე, ნეორეალიზმის თეორიიდან გამოდინარე არსებობს კანონზომიერებები/მეთოდები საერთაშორისო პოლიტიკაში, რომლებიც მეორედება მიუხედავად იმისა, რომ მათ სხვადასხვა ადამიანები და სახელმწიფოები იყენებენ. ეს გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფოები მოქმედებენ ეროვნული ინტერესების შესაბამისად, ანუ ,,თითოეული სახელმწიფო აწესებს მოქმედების კურსს, რომელიც მისი აზრით საუკეთესოდ მოემსახურება მის ეროვნულ ინტერესებეს."[1]

1.2 რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები მეცხრამეტე საუკუნეში და ბათუმის ოლქის დაბრუნება საქართველოსთვის

მეცხრამეტე საუკუნის რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობები ძრითადად მიმდინარეობდა საომარი პროცესების პარალელურად. სამშვიდობო პროცესების უზრუნველყოფა ფაქტობრივად არ ხდებოდა და ურთიერთოებები მიმართული იყო მხოლოდ იმპერიალისტური პოლიტიკის გატარებისა და ტერიტორიების გადანაწილებისკენ. XVIII საუკუნეში რუსეთთან ომებში დამარცხებული ოსმალეთი

[1] ეკა აკობია - საერთაშორისო ურთიერთობების თეორია http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL3.1.6&d=HASH011d8dcef9e5ffa0469c4593.4

აქტიურად ემზადებოდა რევანშისათვის და სტატუსკვოს აღდგენისათვის, რაშიც ხელი შეუწყო რუსეთის მარცხმა საფრანგეთთან აუსტერლიცის ბრძოლაში. ოსმალეთმა რუსეთის გემებისათვის ბოსფორის და დარდანელის სრუტეები დახურა, რითიც ფაქტობრივად რუსეთს სამხრეთიდან გასასვლელი სრულად ჩაუკეტა, პარალელურად ოსმალეთი საფრანგეთსმიემხრო და რუსეთთან ურთიერთობებს გამიზნულად ძაბავდა, ოსმალეთის სულთანი მაქსიმალურად ცდილობდა სიტუაციის ესკალაციას და რუსეთის პროვოცირებას. რუსეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს წარმოადგენდა სრუტეები, შესაბამისად მსგავს პოლიტიკურ გარემოებას არ შეეგუა და სხვა გარემოებების გათვალისწინებითაც 1806 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც 1812 წლამდე გაგრძელდა. თურქეთის მთავარი მიზანი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება იყო, თუმცა გადამწყვეტი აღმოჩნდა 1811 წელი, როდესაც რუსეთის არმია შეტევაზე გადავიდა ოსალეთის არმია რამდენიმე ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა, აქტიური ბრძოლა მიმდინარეობდა კავკასიის ფრონტზეც სადაც სასწორი რუსეთისკენ გადაიხარა, რამაც განაპირობა ის რომ ოსმალთაგან დაბრუნებულ იქნა ახალქალაქი. ოსმალეთი კვლავ დამარცხდა 6 წლიან ომში და მხარეები 1812 წლის 16 მაისს დაზავდნენ ხელშეკრულებაზე (ტრაქტატი). ხელშეკრულების თანახმად უცვლელი რჩებოდა ყველა ის ხელშეკრულება, რომლებიც დაიდო ოსმალეთსა და რუსეთს შორის. იმ პერიოდამდე, აღნიშნული ხელშეკრულება შეეხო საქართველოსაც, ოსმალეთმა სცნო დასავლეთ საქართველოს სამეფო სამთავროების გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში, რუსეთმა ამ ხელშეკრულებით შეიერთა ასევე ქართლ-კახეთი. ამავე ხელშეკრულების თანახმად რუსეთმა ოსმალეთს დაუბრუნო ახალქალაქი და ფოთი.

რუსეთისა და ოსმალეთის დაპირისპირებამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და რუსეთის იმპერიის სწრაფვამ დასავლეთი ევროპისაკენ თავისი გავლენის მოსაპოვებლად რუსეთსა და ოსმალეთს შორის წარმოშვა ახალი ომი, რომელიც დაიწყო 1828 წელს. ომი თავიდანვე დაიწყო კავკასიისა და ბალკანეთის ფრონტებზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ამჯერადაც რუსეთის ინიციატივითა და უპირატესობით წარიმართა საომარი მოქმედებები. 1829 წელს რუსებმა ყოველგვარი ბრძოლისა და დაბრკოლებების გარეშე გადავიდნენ ბალკანეთის მთები და დაიკავეს ადრიანოპოლი. თავის მხრივ წარმატებული გამოდგა კავკასიის ფრონტზე ბრძოლაც, სადაც თითქმის სრულიად დაიკავეს მთელი შავიზღვისპირეთი ყარსამდე. რუსეთის უპირატესობის მკვეთრმა გამოკვეთამ ოსმალეთი აიძულა გაეფორმბებინათ საზავო ხელშეკრულება, რომელიც შედგა 1829 წლის 2 სექტემბერს ადრიანოპოლში, ხელშეკრულებაც სწორედ ადრიანოპოლის სახელით არის ცნობილი. ამ ხელშეკრულებით ოსმალეთმა აღიარა იმერეთის სამეგრელოსა და გურიის გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში. ოსმალეთმა ასევე აღიარა გულისთანის საზავო ხელშეკრულებით ირანის მიერ სამხრეთ კავკასიაში რუსეთისათვის ტერიტორიების დათმობა ე.ი. ჭარბელაქნის გადასვლა რუსეთის შემადგენლობაში. რუსეთიც იღებდა გარკვეულ ვალდებულებებს და აღნიშნული ხელშეკრულებებით მათ უნდა დაეტოვებინათ ომის დროს დაკავებული ახალციხის საფაშოს სამხრეთი ნაწილი, ყარსი და ყარსი საფაშო. არზრუმი და არზრუმის საფაშო.

XIX საუკუნის შუა ხანებისათვის რუსეთის იმპერიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ბრძოლამ დასუსტებული ოსმალეთის ევროპული და აზიური სამფლობელოების გადანაწილებიოსა და ბოსფორ-დარდანელის სრუტეებზე კონტროლის დამყარებისათვის უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო. რა თქმა უნდა პარალელურად გამწვავდა რუსეთ ოსმალეთის ურთიერთობებიც, რამაც საბოლოოდ გამოიწვია 1853-1856 წლების ყირიმის ომი. ომის პირველ ეტაპზე რუსეთი მნიშვნელოვანი ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა, თუმცა 1855 წელს ყარსის აღებამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა რუსეთის მძიმე მდგომარეობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ინგლისი 1856 წელს ფართომასშტაბიან შეტევას აპირებდა რათა რუსეთი გაეძევებუინა და თავისი გავლენა გაევრცელებინა მთელ შავიზღვისპირეთზე. ამ გეგმის წინააღმდეგ გამოვიდა საფრანგეთი და თურქეთიც ომის დასრულებისაკენ იყო მიმართული, რადგანაც აღნიშნულმა ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა

ოსმალეთის ეკონომიკური დგომარეობა. გარკვეულმა წარმატებებმა კავკასიში რუსეთს ვერ უშველა და დამარცხებული რუსეთის იმპერია სამარცხვინო ზავზე დათანხმდა. საზავო მოლაპარაკება პარიზში მიმდინარეობდა 1856 წელს თებერვაკლ-მარტში. მასში მონაწილეობდნენ: რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი ავსტრია, თურქეთი, სარდინია და პრუსია. საზავო ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 1856 წლის 18 მარტს. პარიზის საზავო ხელშეკრულება ძალიან მძიმე შედეგების მომტანი აღმოჩნდა რუსეთისათვის. შავ ზღვაზე გასასვლელის მქონე ყველა ქვეყანას აეკრძალა ფლოტის ყოლა, ხოლო სანაპირო ზოლში სიმაგრეებისა და არსენალების მშენებლობა. რუსეთის მდგომარეობა კიდე უფრო დაამძიმა იმ ფაქტმა რომ თურქეთს სუვერენული უფლება მიენიჭა მარმარილოსა და ხმელთაშუა ზღვებში ჰყოლოდა სამხედრო ფლოტი, რაც თურქეთს ძალიან დიდი უპირატესობის წინაშე ამყოფებდა რუსეთთან შედარებით. რუსეთმა დაკარგა ბესარაბია, რომელიც ბესარაბიას შეუერთეს და და ფაქტობრივად ის უკვე ოსმალეთის ტერიტორიას წარმოადგენდა.რუსეთს ჩამოერთვა სერბიის ერთპიროვნული მმაერთველობის უფლება. თურქეთის პრეტენზიები რუსეთ-თურქეთის საზღვრის შეცვლისა და ამიერკავკასიის ზოგიერთ რაქიონში მისი მფლობელობის აღდგენის შესახებ დაკმაყოფილებული არ იქნა , თუმცა რუსებმა ყარსი მაინც დატოვეს.ყირიმის ომში დამარცხებამ მძიმე მდგომარეოაბაში ჩააგდო რუსეთის იმპერია და მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა იმპერიის პილიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალური გარემოს მოდერნიზაცია.

1856 წლის 18(30) მარტის პარიზის ტრაქტატის პირობებს რუსეთის იმპერია ვერ ეგუებოდა. 1877 წელს რუსეთის საიმპერატორო კარმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს, საომარი მოქმედებები ძირითადად ორ ფრონტზე მიმდინარწეობდა, კავკასიასა და ბალკანეთში. ომის მიმდინარეობა რუსეთის უპირატესობით წარიმართა, რამაც შესაბამისი შედეგებიც გამოიღო, კერძოდ კი რუსეთის არმიამ გადალახა ბალკანეთის მთები და ადრიანოპოლში შევიდა. ოსმალებმა ასევე ვერ გაუძლეს რუსების შეტევას კავკასიის ფრონტზეც და 1878 წლის 18 ნოემბერს ყარსი აიღეს, თუმცა აჭარაში წარმოებული ოპერაცია შავი ზღვის გასწვრივ წარმატებით ვერ განვითარდა. 1878

წლის 19 თებერვალს სტამბოლთან ახლოს დაბა სან-სტეფანოში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო პრელიმინალური საზავო ხელშეკრულება. ჩვენი ყურადღება აღნიშნულ შემთხვევაში გამახვილებული იქნება მხოლოდ ხელშეკრულების მეცხრამეტე მუხლზე, რომელიც უშუალოდ საქართველოს ეხებოდა. რომლის ძალითაც ოსმალეთს უნდა გადაეხადა ათას ოთხასი მილიონი მანეთი, რათა რუსეთს დაებრუნებინა დაკავებული ტერიტორიები ოსმალეთისათვის. სანსტეფანოს საზავო ხელშეკრულება 1878 წლის 18 მაისს გადახედილ იქნა ,,ლონდონის შეთანხმებით“ , რომლის მიხედვითაც რუსეთი იღებდა ბათუმს და ინარჩუნებდა სომხეთის დაპყრობილ ტერიტორიების, თუმცა შემგომში ოსმალეთის ტერიტორიის ხარჯზე აზიაში რუსეთის ტერიტორიები არ უნდა გაზრდილიყო (ლონდონის შეთანხმება გამოიწვია დასავლეთის შეშფოთებამ რუსეთის გაძლიერებაზე და ინგლისის ინიციატივით მოსკოვი დაითანხმეს აღნიშნული ხელშეკრულების გადახედვაზე). იმ პერიოდოს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს ინტერესს წარმოადგენდა ბერლინის ტრაქტატი (1878 წლის 1 ივლისი), რომელიც რა თქმა უნდა შეეხო საქაქრთველოსაც, რომლის მიხედვითაც (მეცხრამეტე მუხლი)ოსმალეთი რუსეთს უთმობდა ყარსს, არდაგანს და ბათუმს პორტითურთ, აქვე აღსანიშნავი 1879 წლის 27 იანვრის სტამბოლის ხელშეკრულებაც, რომლის მიხედვითაც უცვლელი რჩებოდა ბერლინის ტრაქტატით განსაზღვრული ტერიტორიები აზიაში. ბერლინის კონგრესი შეიკრიბა როგორც უკივე ავღნიშნეთ 1878წლის ივლისში. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ევროპის დიდ სახელმწიფოთა პრემიერ მინისტრები და სხვა წარმომადგენლები. კონგრესის მუშაობისდ პროცესში გამოიკვეთა მონაწილე სახელმწიფოპთა პოლიტიკური დაჯგუფებები რუსეთის წინააღმდეგ. განმტკიცდა ავსტრია-გერმანიის პოლიტიკური კავშირი, გაჩნდა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობების დაახლოებისა და განმტკიცების ტენდენცია. რუსეთი იზოლაციაში აღმოჩნდა: ამ სახელმწიფოთთა ინტერესეის საფუძველზე მწვავედ დადგა საკითხი ტერიტორიების გადანაწილებასთან დაკავშირებით რაც საბოლოოდ აჭარის ბედსაც წყვეტდა.

აჭარის განთავისუფლება და დაბრუნება დედა საქართველოსთან ძალიან დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსული ორიენტაციის ბეგებისა და თვით აჭარის მაშინდელი მმართველის შერიფ ბეგ ხიმშაშვილის მხარდაჭერასა და აქტიურ მოქმედებას. შერიფ ბეგი ედგა სათავეში აჭარელთა ბრძოლას XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ომის წინ ტელი აჭარა და ლაზისტანი აჯანყებული იყო ოსმალ;თა ბატონობის წინააღმდეგ, რასაც თავისი ობიექტური-სუბიექტური მხარეეებიც ჰქონდა. მოგვიანებით გაზეთ ,,ერთობაში" საინტერესო კითხვაა დასმული როგორც ოსმალების ასევე რუსების მიმართულებით ,,ნუთუ თქვენ არ იცით რომ აჭარლები იგივე ქართველებია?! სწორედ მსგავსი პატრიოტული და ეროვნული გამონათებები აძლევდა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს მოეთხოვა რუსეთის სარდლობისგან აჭარის განთავისუფლების დაჩქარება. თურქეთის ხელისუფალნი ცდას არ აკლებდნენ რომ როგორმე ადგილობრივი მოსახლეობა აეჯანყებინათ როგორც რუსების ასევე შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის წინააღმდეგ, თუმცა საზოგადოებაში არსებული მუხტის ფონზე მსგავსი ცდები დიდწილად წარუმატებლად მთავრდებოდადა პირიქით აჭარის მოსახლეობა პურ-მარილით ეგებებოდა რუს და ქართველ მებრძოლებს, რომლებიც აჭარის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ, თურქეთს კი მცირე ნაწილი ემხრობოდა, ამას კი განაპირობებდა ადგილობრივი პირების გავლენის სფეროები.მოსახლეობა სრულად შერიფ ბეგის ერთგული რჩებოდა რაც მას იმედს აძლევდა რომ ბრძოლა წარუმატებლად არ ჩაივლიდა, მოსახლეობამ ზურგი აქცია თავის ,,დროებით" პატრონს ოსმალეთს და გამოავლინეს უდიდესი ერთგულება საქართველოსა და აჭარისადმი.

სანსტეფანოის საზავო პირობები რუსეთს აძლიერებდა და გზას უხსნიდი თავისი ინტერესების აქტიური გატარებისკენ დასავლეთ ევროპისაკენ, თავის მხრივ გზას უხსნიდა ბათუმისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების განთავისუფლებაში. როგორც უკვე ავღნიშნეთ ინგლისი აქტიურად უჭერდა მხარს ოსმალეთს, რუსეთის მსგავსი გაძლიერების ფონზე. ინგლისსა და ოსმალეთს

სურდათ რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ აჭარის, შავშეთის და იმერხევის მოსახლეობა. ამ ტერიტორიების მასშტაბით, დევრილ ფაშამ რომელიც ბათუმში იჯდა იარაღი დაურიგა ქართველ მუსლიმან მოსახლეობას, რათა ერთობლივად შეეკავებინათ რუსეთის გავლენა, მსგავსი ბრძანება ხიმშიაშვილმაც მიიღო, თუმცა ფაქტია მან ეს დავალება არ შეასრულა, საპასუხოდ კი მოუწია გადახვეწილიყო ახალციხეში, საიდანაც უფრო აქტიურად ეწეოდა თავის საქმიანობას.

1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის არმიის ნაწილები მოემართებოდნენ ზემო აჭარიდან გოდერძის უღელტეხილის გამოვლით, აგრეთვე ართვინიდან და ქობულეთიდან. ზემო აჭარის რაზმს მეთაურობდა გენერალი ტრეიტერი, ართვინისას გენერალი კომაროვი (შემდგომში ბათუმის პირველი გენერალ-გუბერნატორი). ქობულეთის გენერალი სვიატოპოლ-მირსკი. ბათუმი რუსეთის მხედრობამ თითქმის უბრძოლველად დაიკავა. ამავე დღეს ბათუმის ნავსადგურში შევიდა რუსეთის ფლოტიც. ბათუმში რუსეთის დროშა აღიმართა, რომელმაც ქვემეხთა 101 სალუტთან ერთად მოსახლეობას ამცნო, რომ დამთავრდა თურქეთის ხანგრძლივი ბატონობა აჭარაში და დღეიდან იგი დედასამშობლო საქართველოს დაუბრუნდა. საქრთველოში ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში და არაერთი საზოგადო მოღვაწე გამოეხმაურა ამ სამამულიშვილო ფაქტს. განსაკუთრებით აღსანიშნავია იაკობ გოგებაშვილის შთამბეჭდავი შეფასება ,,ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ დიდი სიკეთე შეგვძინა ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად მებრძოლი შავი ბედისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენუი უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს შემოგვიერთდა“.

გამარჯვების ნიშნად ბათუმში ცერემონია გაიმართა, რომლის შემდეგაც ქალაქის მოედანზე გაიმართა საზეიმო ვახშამი, რომელსაც თამადობდა დიდებული ქართველის და მამულიშვილის სელიმ ხიმშიაშვილის შვილიშვილი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი. რომელმაც ბაბუის ნანატრი სურვილი აასრულა. სელიმ ბეგ ხიმშიაშვილი ჯერ კიდე XIX საუკუნის საწყის ეტაპზე იბრძოდა საქართველოს გამთლიანებისათვის და დაგვიტოვა სიტყვები, რომლებიც საუკუნეებს გაუძლებს

თავის სიდიადით ,,მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალოს არ შერჩება. მის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებ“.

დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ყველაზე შესამჩნევი ცვლილებები მოხდა ქალაქ ბათუმის ისტორიაში. იგი მალე მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-საზღვაო-სანავსადგურო ქალაქად გადაიქცა. XX საუკუნის დასაწყისში მრეწველობის განვითარების მხრივბათუმი მესამე ქალაქად ითვლებოდა ამიერკავკასიაში, თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც რომ 1877-1878 წლების ომის შემდეგ გარკვეული სოციალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა აჭარა. თუ ომით გამოწვეული ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან სწორდებოდა, სოციალურის მხრივ, ომმა მძიმე დაღი დაასვა ადგილობრივ მოსახლეობას, მის დემოგრაფიულ მდგომარეობას, რომელიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორმით დღესაც შეგვახსენებს თავს. ეს არის აჭარის ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ მშობლიური მიწა-წყლის ნებით თუ იძულებით მიტოვება და უცხო მხარეშში _ თურქეთის სხვადასხვა რაიონებში გადასახლება. რა თქმა უნდა ამ პროცესების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით, როგორც ოსმალეთს ასევე რუსეთს. მათმა შედარებით ხისტმა პოლიტიკამ აჭარაში სოციალური ფონი უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

მუჰაჯირობა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე ტრაგიკული მოვლენა იყო ქართველი ხალხის ისტორიაში, რომელმაც დაახლოებით 10 ათასი ქართველი გადასახლება გამოიწვია, აღსანიშნავია ის ფაქტი რომ მათ შორის 4 ათასამდე აფხაზი ან სხვა კუთხის შვილი იყო ხოლო 6 ათასამდე აჭარელი, გარკვეული ნაწილი უკანაც კი ბრუნდებოდა თუმცა რუსეთის იმპერიაში მათი უფლებები ძალიან შეზღუდული იყო.

1.3 თურქეთ–რუსეთის ურთიერთობები სდრ დროს

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხარჯზე ახალი მუსლიმანური (ყარსის) სახელმწიფოს შექმნის მცდელობამ და შემდგომში მისმა ჩავარდნამ, ოსმალეთის ხელისუფლებას პოლიტიკური კურსის შეცვლისკენ უბიძგა. იგი საქართველოს

ტერიტორიის მიტაცებაში ხელშემწყობი პარტნიორის ძებნაში გამოვლინდა. 1920 წლის 26 აპრილი, დღე რომელმაც გამოავლინა მნიშვნელოვანი ძვრები ამ მიმართულებით. მხედველობაში მიღებულია მუსტაფა ქემალის ვლადიმერ ლენინისადმი გაგზავნილი დეპეშა, რომლის მიხედვითაც მ. ქემალი მზადყოფნას აცხადებდა კეთილმეზობლურ ურთიერთობებისადმი. ოსმალეთის მხრიდან გაგზავნილ იქნა წერილი ასევე რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრისადმი, მასში ნათლად და ხაზგასმითაა აღნიშნული რომ ოსმალეთი მხარს უჭერს ,,რუსეთის დიდი რევოლუციის ძირითად პრინციპებს. ამ დოკუმენტებით კი რუსეთი ქემალისტური მტავრობის მხრიდან მიჩნეული იყო, როგორც მოკავშირე სახელმწიფო. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას რომსაქართველოს პირველი რესპუბლიკა მოექცა იმპერიალისტური ზრახვების მქონე სახელმწიფოთა ცენტრში, როგორც ჩრდილოეთის ასევე სამხრეთის მხრიდან (რუსეთ-თურქეთი) ისტორიული ანალიზზე დაყრდნობით ეს არ იყო სიახლე, თუმცა მათ შორის საერთო ენის გამონახვა საფრთხეებსა და რისკებს ზრდიდა. ამ შემთხვევაში რუსეთ-თურქეთის ინტერესები საერთო იყო და ითვალისწინებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობას და ტერიტორიებისა გადანაწილებას, რაც მათ შორის საერთო საზღვარს გააჩენდა. იმ ეტაპზე შექმნილი ამ ურთულესი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ გ. ლორთქიფანიძე სრულიად სამართლიანად წერდა რომ ,, საქართველოსთვის დადგა ისეთი ხანა, რომლის სრული მსგავსება არც კი იცის ჩვენმა ისტორიამ, სახელდობრ რუსეთი და ოსმალეთი, რუსული ველიკოდერჟავნიკობა და თურქულ-სპარსული პანისლამიზმი საქართველოს განადგურების საქმეში შეიქნენ ერთი მეორის პირისპირ მოკავშირენი.

ოსმალეთის ხელისუფალთა ასეთი კურსი როგორც უკვე ავღნიშნეთ პირდაპირ კავშირში იყო თავიანთ იმპერიალისტურ-ექსპანსიონიზტურ მიზნებთან. რა თქმა უნდა საქართველოში ასეთ კავშირს უყურადღებოდ არავინ ტოვებდა და არაერთი წერილი იქნა გამოქვეყნებული ქართულ გაზეთებში, განსაკუთრებით აღსანიშნავი კი არის გაზეთ ,,ერთობაში'' დაბეჭდილი წერილი, რომელსაც მოწინავე ადგილიც კი

დაუთმეს, რაც მის მნიშვნელობას კიდე უფრო ნათელს ხდის ,,კომუნისტების და ოსმალეთის იმპერიალისტების კავშირი“.აღნიშნულ პუბლიკაციაში დამაჯერებლად და ობიექტურად არის აღწერილი რუსეთ-ოსმალეთის ერთობლივი საქმიანობა, წინა პლანზეა წამოწეული და სწორი პოზიციიდანაა დანახული რუსეთისადმი ოსმალეთის დაკავშირების ძირითადი მიზეზები. მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც თუ რა როლი ჰქონდა იმპერიალისტუერად განწყობილი ქვეყნების დაკავირებაში აზერბაიჯანს. დოკუმენტური მასალით დასტურდება რომ აზერბაიჯანის ხელისუფალთა პოლიტიკური საქმიანობა საბჭოთა რუსეთის დახმარებით ოსმალეთის გაძლიერებაზე იყო გათვლილი, რაც რა თქმა უნდა განპირობებული იყო დიდ წილად საერთო რელიგიის ფაქტორით. აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველო იმ ეტაპისთვის სრულიად მარტოდმარტო აღმოჩნდა რუსეთისა და ოსმალეთის პირისპირ. ეს გარემოება უყურადღებოდ არ დარჩენიათ რუსეთში და მის დიპლომატიურ წრეებში და მის გამოყენებასაც მაქსიმალურად ცდილობდნენ. ჩიჩერინის მიერ საქართველოს მთავრობისადმი გამოგზავნილი ნოტა მიუთითებს რომ ისინი ცდილობდნენ სათავისოდ გამოეყენებინათ თითოეული პოლიტიკური სიტუაცია. ამ დოკუმენტით რუსეთი საქართველოს სთავაზობდა დენიკინის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებებს. ქართული დიპლომატიის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ე. გეგჭორმა დიპლომატიურიეტიკეტის სრული დაცვით საპასუხო ნოტა გაუგზავნა რუსეთის მთავრობის მესვეურებს და დენიკინის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებებში მიღებაზე უარს აცხადებდა რიგი ობიექტური მიზეზების გამო, რომელთა გაუთვალისწინებლობა უდიდესი რისკის ქვეშ დააყენებდა საქართველოს. ნოტაში გაწერილი იყო შემდეგი ორი ძირითადი პუნქტი ,,1) ქვეყნის ნეიტრალიტეტის დაცვაზე დაფუძნებული პოლიტიკა. 2) დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართვის შემთხვევაში რსფსრ-ს ტერიტორიაზე გადასვლისალბათობიდან გამომდინარე რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის დაუშვებლობა“ ამ პუნქტების გათვალისწინებით ხაზგასმით შეიძლება იმის

აღნიშნვნა რომ საქართველოში სრულად ჰქონდათ გათვალისწინებულიარსებული რისკები.

1920 წელს[2] საბჭოთა ჯარებმა ერევანსა და ბაქოში ბოლშევიკური რეჟიმი საბოლოოდ დაამყარეს. ამის შემდეგ საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების საფრთხე აშკარა გახდა. საქართველოს მენშევიკური მთავრობა ცდილობს თურქეთთან გარიგებაზე წავიდეს და ბათუმში წითელი არმიის შესვლას შეეწინააღმდეგოს. 1921 წლის 11 მარტს თურქეთის ჯარები ბათუმს იკავებენ. თუმცა, უკვე 25 მარტს მენშევიკური მთავრობა საბჭოთა მთავრობას დაუზავდა. ორი დღის შემდეგ ბათუმი საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს. 1921 წლისათვის კი ბოლშევიკებმა სამხრეთ კავკასიის გაწითლება დაასრულეს.

ამავე დროს, 1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში, თურქეთსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის მეგობრობის ხელშეკრულება გაფორმდა. თუმცა, ათათურქსა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის ,,ტკბილი ურთიერთობა" დიდხანს არ გაგრძელებულა. თურქეთში ანტისაბჭოთა განწყობილებები იზრდება, რაც საბჭოთა რუსეთის მხრიდან თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერიტორიების შესაძლო ოკუპაციის საფრთხეს უკავშირდებოდა. იმ ეტაპზე ათათურქის მოსკოვთან შეთანხმება თურქეთისათვის კავკასიის საზღვრებზე სტაბილურობას ნიშნავდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული მთელი XX საუკუნის განმავლობაში თურქეთის საზღვრები სამხრეთ კავკასიასთან უმკაცრესად იყო ჩაკეტილი, რაც წინა ათასი წლის განმავლობაში ასე უცხო იყო ამ რეგიონისათვის.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საიდუმლო შეთანხმებებს, ერთ-ერთ განსაკუთრებულს კი წარმოადგენს ბოლშევიკებისა და ოსმალო აგენტების გაერთიანებული კომიტეტის სხდომის ოქმი და დადგენილება,

---

1. თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია - მამუკა კომახია
http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.10&d=HASH23ab13c8e6f2f3daa8e290&gc=1

რომელიც შემდგომში აღმოჩნდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესაბამისი უწყების ხელში (შინაგან საქმეთა სამინისტრო), აღნიშნული მასალიდან ჩასნს რომ რუსეთ-თურქეთს სამოქმედო გეგმის გარკვეული გეგმა ჰქონდათ, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ აჭარის რეგიონის მოსახლეობის ამხედრერბისათვის მყარი საფეხურის მოსამზადებლად, ადგილობრივ მოსახლეობაზე იდეოლოგიური ზემოქმედების სხვადასხვა ფორმა გამოეყენებინათ. ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთად კომუნისტების მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგ მოწყობილი აჯანყება და ქართული ჯარის ბათუმის ოლქში არ შეშვების მიზნით გატარებული ღონისძიებები, ოსმალ;ეთის მხრიდან ქალაქ ბათუმისა და მისი ოლქის ოკუპაციის რეალურ შესაძლებლობას ქმნიდა. გაზეთი ,,ერთობაში“ ვკითხულობთ რომ ,,კომუნისტები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან საქართველოსადმი ხალხში სიძულვილის დასათესად“.

ოსმალეთისა და ბოლშევიკების მხრიდან აქტიური დაფინანსება მიმდინარეობდა სხვადასხვა გაზეთებისა, სადაც იბეჭდებოდა უამრავი პროკლამაციები, რომლებიც ,,საქართველოს ხალხისადმი მიმართვის ფორმით იყო შედგენილი და მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დისკრედიტაციას და რეგიონის საქართველოსგან ჩამოცილებას. ერთერთ ასეთ გაზეთს წარმოადგენდა ,,სედაი მილეთი“ რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მუსლიმი და ქრისტიანი ქართველების დაპირისპირება, რასაც გარკვეულწილად ახერხებდნენ კიდეც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმის დადასტურებაა რომ სამხრეთ დასავლეთი საქართველო სერიოზული საფრთხის წინაშე იმყოფებოდა, რაშიც გვადასტურებს კიდეც ის ფაქტები რომლებიც გვაუწყებს ოსმალების, დენიკინელებისა და ბოლშევიკების მჭიდრო ურთიერთობა. ორ სახელმწიფოს შორის მეგობრული ფორმატით ურთიერთობა და ,,იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მოტივით დაახლოება საფეხურებრივად მიმდინარეობდა, აღნიშნულის რეალურ დასტურს კი წარმოადგენს მუსტაფა ქემალ ფაშასადმი გ. ჩიჩერინის მიერ 1920 წლის

ივლისში გაგზავნილი ნოტა, ამ დოკლუმენტში ხაზგასმითაა მითითებული, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთოპბლივი ბრძოლის შესახებ ოსმალეთის მხრიდან შეთავაზებულ წინადადებას ბოლშევიკური პარტიის მესვეურები იწონებდნენ. იმავდროულად იგი ოსმალეთის ტერიტორიის უდაო ნაწილების ოსმალეთის ტერიტორიის ფარგლებში მოქცევას უჭერდა მხარს, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ რუსეთი კონკრეტულად არ მიუთითებს თუ რომელ ტერიტორიას მიიჩნევს ის ოსმალეთის შემადგენელ ნაწილად, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს ვივარაუდოთ რომ რუსეთის სახელისუფლებო მესვეურების მსგავსი განცხადება მხოლოდ დიპლომატიური ეტიკეტის დაცვისთვის იყო გამიზნული და ის რეალურად არ ითვალისწინერბდა თურქეთის ინტერესებს. მსგავსი დამოკიდებულება კი ორმაგ სტანდარტებზე მიუთითებს რუსეთის დიპლომატიის მხრიდან და ოსმალეთის ხელისუფლებას საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების დასაწყებად განაწყობდა. 1920-იან წლებში თურქეთისათვის ერთერთ მნიშვნელოვნად გადასაწყვეტ საქმეს წარმოადგენდა სხვადასხვა ქბეყანათა ჯარების გაყვანა მისი ტერიტორიიდან, საბერძნეთის, საფრანგეთის, ინგლისის და სხვ. ამ ჩანაფიქრის აღსურელბად კი რუსეთი იქნა მიჩნეული. მუსტაფა ქემალმა გარკვეულ პოლიტიკურ ეშმაკობასაც მიმართა. მხედველობაში გვაქვს რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრისადმი ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მიერ 1920 წლის 12 ივლისს გაგზავნილი წერილი, სადაც გაცხადებული იყო რომ ოსმალეთის მთავრობის წევრები ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს რუსეთის ხელისუფლებას.. ამ ფონზე, პირობას დებდნენ რომ რუსეთის ,,დიდი რევოლუციის“ ძირითადი პრინციიპები ოსმალეთის რელიგიურ და ეროვნულ ტრადიციებთან იქნებოდა შეფარდებული. ამ მიმართულებით პირველი საჩვენებელი ნაბიჯი მუსლიმანი ბოლშევიკების კომიტეტის შექმნით გადაიდგა. მუსტაფა ქემალმა კარგად იცოდა რასაც აკეთებდა. მის მთავარ ამოცანას იმ ეტაპზე ბოლშევიკური იდეოლოგიის გამტარებელი და განუზომლად დიდი პოტენციალის მქონე ქვეყნის მხრიდან ნდობის მოპოვება წარმო-დგენდა. საბჭოთა რუსეთიოსმალეთის ხელისუფლებას სერიოზულ დახმარებას

უწევდა და საქართველოს წინააღმდეგ მოსალოდნელი ომის დაწყების შემთხვევაში, მასში საიმედო პარტნიორს ხედავდა. თავის მხრივ მსგავსი პროცესების განვითარება უყურადღებოდ არ რჩებოდა ქართული პოლიტიკური ელიტის მხრიდან. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან საქართველოსადმი საფრთხის გარდაუვალობაზე საზოგადოებას აშკარად მიანიშნებდა ამიერ კავკასიაში განვითარებული მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას, რაც უკავშირდება სომხეთისა და აზერბაიჯანის გასაბჭოებას. ამიერკავკასიის რეგიონისადმი დასავლეთის ინდიფერენტულმა დამოკიდებულებამ, საქართველო მიზანმიმართუილად რუსეთ-ოსმალეთის საჯიჯგნ ობიექტად აქცია. ეს ფაქტი დასავლეთ ევროპის საღად მოაზროვნე ჟურნალისტებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ და ერთერთი ცნობილი გამოცემა ,,ტანი“ აქვეყნებს წერილს (1920 წელს დაბეჭდილი წერილი იქცევს ჩვენს ყურადღებას) ,,უკვე ეხლასაქართველო კავკასიის ფრონტის დიდ ნაწილზე აბრკოლებს პირდაპირ ურთიერთობებს ოსმალებსა და ბოლშევიკებს შორის, რომელნიც თუმცა სხვადასხვა მისნებს მისდევენ, მაგრამ ერთნაირად ცდილობენ მოკავშირე დემოკრატთა გამარჯვებას საბოტაჟი გაუკეთონ. 1920 წლის 30 აპრილის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში აკაკი ჩხენკელი ამბობს და დამფუძნებელი კრების დეპუტატებს შეახსენბდა, რომ ამ ბლოკის არსებობა ,,ბრესტ ლიტოვსკის განახლებას“ბათუმის, არტაანის და ყარსის ისევ ოსმალეთის მხრიდან ხელში ჩაგდების მცდელობას ემსახურებოდა. იმ პერიოდის ქართულ პოლიტიკურ სპექტრს რუსეთ-ოსმალეთის კავშირის ძირითადი მიზნები და ამოცანები სწორად ჰქონდა გაცნობიერებული. მითუმეტეს, ქართული პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები რუსეთ-ოსმალეთის კავშირში იმპერიალისტურ მიზნებს ხედავდნენ.

ამ მიმართულებით ანალიზისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ სევრის საყოველთაოდ ცნობილი ხელშეკრულება (1920 წლის 10 აგვისტო). იგი ჩვენთვის იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არაპირდაპირი ფორმით კითხვის ნიშნის ქვეშაა დაყენებული. ამ დოკუმენტის პირველი მუხლით ოსმალეთის ტერიტორიული საზღვრის ხელშეუხებლობა და

მოკავშირეთა მანდატის ქეშ მისი დამოუკიდებლობაა დადასტურებული. რამდენადაც მასში სახელმწიფო საზღვარი არ იყო დაკონკრეტუბულ;ი, ეს ფაქტი ოსმალეთის მმართველ წრეებს, ოსმალეთის პარლამენტის მიერ 1920 წლის 28 იანვარს მიღებული ,,ეროვნული ფიცის“ მეორე მუხლით მოქმედების შესაძლებლობას აძლევდა. როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, ეროვნული ფიცის ამ მუხლით ყარსისა და ბათუმის ოლქები ბათუმის შემადგენლობაში იყო შეტანილი, ეს ყოველივე კი იმ ფონზე როდესაც საქართველო ჯერ კიდე დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე მოკავშირეებთან ომში დამარცხებული ოსმალეთი დაკარგული ტერიტორიების სანაცვლოდ კონპენსაციის მიღებას ამიერკავკასიის ტერიტორიების ხარჯზე ცდილობდა და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილების მიტაცებას ისახავდა მიზნად, ამ ჩანაფიქრის აღსრულებისათვის ისინი აქტიურად იყენებდნე სხვადსხვა პირებს ამ შემთხვევაში კი აღსანიშნავია სერვერ ბეგი, რომელიც ბათუმის ოლქში პროთურქულ მოწოდებებს ავრცელებდა.აღნუიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს გაზეთ ,,ერთობაში დაბეჭდილი წერილი, მასში ძირითად ყურადღება ,,კავკაზსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილზე ,,სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მუსლიმანური კომიტეტისა“ და ბოშევიკების მიერ გავრცელებულ პროკლამაციაზეა საუბარი. ეს დოკუმენტები მუსლიმანი ქართველების საქართველოდან გამოყოფის და ოსმალეთთან შეერთების მოწოდებას წარმოადგენდა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისხელყოფის მიზნით მოახლოებული საფრთხე საქართველოს პირველი რესპუბლიკის მესვეურებსაც არ დარჩენიათ ყურადღების გარეაშე. 1920 წლის 5 ნოემბერის საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე ნ. რამიშვილმა განსაზღვრა ოსმალეთისა და რუსეთის ინტერესები საქართველოს მიმართ და განაცხადა ,,თუ გნებავთ მშვიდობიანობა, ემზადეთ ომისთვის“ <<თუ გნებავთ ქემალის ლაშქრის თავიდან აცილება, ამბობდა იგი, წინ დაუყენეთ მას ასეთივე ლაშქარი, აჩვენეთ შესაბამისი სამხედრო ძალა და ის იძულებული იქნება ჩვენს საზღვრებს გზა აუაროს. ქემალ ფაშა ემყარება არა თავის

სუსტ ძალას, არამედ ბოლშევიკებისა და და ადგილობრივი მუსლიმების თანაგრძნობას. ეჭვი გვაქვს ადგილობრივი ქართველი მუსლიმების დიდი ნაწილი ნაკლებად იყვნენ პოზიტიურად განწყობილი თურქებისადმი. იგივე ნ. რამიშვილი ჰარკვევით აღნიშნავდა ,,ჩვენ გვაქვს მოსკოვის მთავრობის კატეგორიული განცხადება, რომ ის ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებას სავსებით ემყარება, ბათუმის ოლქს უდაო საქართველოს ნაწილად სცნობს და ქემალ ფაშას საქართველოში გამოლაშქრებას დაუშვებლად აღიარებს. ამ დაპირებას არ ახლავს არავითარი გარანტია და არც შეიძლება ახლდეს. გარანტია არის მხოლოდ ჩვენი ძალა, ჩვენი მომზადება და ჩვენი მამაცობა". როგორც პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი აღნიშნავს (პირად საუბრებში) იმ პერიოდის საქართველოს ჰქონდა უდიდესი პოტენციალი სრული წინააღმდეგობა გაეწია როგორც თურქეთისათვის ასევე რუსეთისათცვის შესაბამისი სამხედრო არსენალიდან და 70 ათასამდე გაწვრთნილი სამხედრო მებრძოლიდან გამომდინარე. ნ რამიშვილის სიტყვას თუ გავაანალიზებთ საქართველოს ხელისუფლებას არანაირი ნდობა არ ჰქონდა ქემალისტური თურქეთისადმი და მოლოდინიც გამართლდა რა თქმა უნდა. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების ყველაზე საყურადღებო შეთანხმებას წარმოადგენდა 1921 წლის 16 მარტის და შემდგომში უკვე 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმება, რომელთა შესახებ დეტალურად ვისაუბრებთ მომდევნო თავებში.

1.4 საქართველო თურქეთის ურთიერთობები 1918–1921 და ყარსის ხელშეკრულება

საქართველო თურქეთის ურტიერთობები იწყება და ვითარდება ჯერ კიდე დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, თუმცა ეს ყოველივე არ ხდებოდა პოზიტიურ კონტექსტში. პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე თურქეთი აქტიურად იბრძოდა რათა თავისი გავლენა გაევრცელებინა აჭარის რეგიონსა და ზოგადად საქართველოზე, რაშიც უდიდესი წინააღმდეგომა შეხვდა ქართული სამხედრო შენაერთებისგან გენერალ მაზნიშვილის მეთაურობით. საქართველო თურქეთის

ურთიერთობებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მის ღვაწლს და როლს ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებასა და სამამულიშვილო საქმეში. 1917 დაბრუნდა საქართველოში და აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული შენაერთების ჩამოყალიბებაში. იყო ქართული დივიზიის მეთაური. გენერალი (1918). 1918 წ-ის დასაწყისში, როცა ოსმალებმა შეტევა განაახლეს და მათი შეჩერება ვერ ხერხდებოდა მათ წინააღმდეგ მებრძოლი ჯარის სარდლად მაზნიაშვილი დაინიშნა. მან, ჩვეული წესით, ჯერ მოსამზადებელი ღონისძიებები გაატარა და მხოლოდ შემდეგ დაიწყო აქტიური სამხედრო მოქმედებები. აღსანიშნავია, რომ გენერალი ყოველთვის უფრთხილდებოდა ჯარისკაცთა და ოფიცერთა სიცოცხლეს და სამხედრო ოპერაციებსაც შესაბამისად გეგმავდა. მაზნიაშვილმა მდინარე ჩოლოქთან შეაჩერა ოსმალთა ჯარის წინსვლა, შემდეგ კონტრშეტევაზე გადავიდა და ბათუმი გაათავისუფლა. 1918 წლის 3 მარტს რუსეთმა და კაიზერულმა გერმანიამ, რომელიც თავის მხრივ თურქეთის მოკავშირე იყო ხელი მოაწერე შეთანხმებას ბრესტ-ლიტოვსკში. ხელშეკრულების თანახმად აჭარა ბათუმითურთ არდაგანის და ყარსის ოლქები უნდა ჩამოცილებოდა რუსეთს, თუმცა ხელშეკრულებაში იყო ძალიან საინტერესო პირობა ჩადებული, რუსეთისგან გამოყოფა კონკრეტული ტერიტორიებისა უნდა მომხდარიყო თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე. აღნისნული საზავო ხელშეკრულების გაფორმებას არ ესწრებოდა ამიერკავკასიის მთავრობა, რომელმაც მწვავე პროტესტი გამოთქვა და არ აღიარა ბრესტლიტოვსკის შეთანხმება, რომელიც ეხებოდა ამიერკავკასიის საზღვრებს. ამიერკავკასიის მთავრობა აცნობებს ამერიკისა და ევროპის მთავრობებს რომ ის აპირებდა ტრაპიზონში ჩასვლას და პირდაპირ ურთიერთობებს თურქეთის შესაბამის უწყებებთან. 14 მარტს გაიხსნა ტრაპეზუნის კონფერენცია, სადაც თურქულმა მხარემ ქართულ დელეგაციას მოსთხოვა: ეღიარებინათ ბრესტის ზავი და თურქეთისსაღვის გადაეცათ არტაანის ყარსისა და ბათუმის ოლქები. აღნიშნული ვიზიტისა ქართულმა მხარემ ტრტაპიზონის კონფერენციაზე რამდენიმე შეცდომა დაუშვა, უპირველესი

არის შესაბამისად მოუმზადებლობა ხოლო მეორე ეტაპზე მათ არ მიsთხოვეს ოსმალეთს ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება.[3]

1918 წლის 26 მაისს მთავრობის სასახლის დარბაზში შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს გაფართოებული სხდომა,რომელიც ნოე ჟორდანიამ გახსნა ასეთი განცხადებით:

“მოქალაქენო! დღეს თქვენ, აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის და იმავე დროს ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა,ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს.საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს აღსდგება არ იქნება მიმართული არცერთი ხალხის, არცერთის სახელმწიფოს წინააღმდეგ.მისი მიზანია დღევანდელი ისტორიული ქარტეხილიდან დაიფაროს თავისთავი და როცა ამას მოახერხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც,ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდ განსაცდელში… ჩვენ გვსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეშე და ჩვენს შორის მყოფ ერებთან… ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი ისეთივე უფლებამოსილნი იქნებიან, როგორიც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა -ქართველობა.ეს ერნი შეერთებული ერთი დროშის ქვეშ შეჰკრავენ კავშირს იმ ერებთან, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეშე იმყოფებიან და ამით წარმოიშვება ის სახელმწიფოებრივი კავშირი,რომელიც აღადგენს აქ ჩვენს წინაშე დაღუპულ სახელმწიფოს.ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერატული კავშირი .”

უწინარეს ყოვლისა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს თურქეთთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას სუვერუნული საქართველოს სახელმწიფოსათვის. თურქეთმა ხელი მოაწერა ჰელსინკის აქტს რომელსაც კარდინალური მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოსათვის, ეს თვალნათლივ მიგვანიშნებს თურქეთის ახალ ადგილზე დღეჰვანდელ მსოფლიოსა და ევროპაში, ამას ყველა მისი მეზობელი სახელმწიფოსათვის პრინციპული მნჰიშვნელობა და

[3] www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/ მაზნიაშვილი_გიორგი

ღირებულება აქვს. საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა ამ მიმართულებით ჩვენი ქვეყნის წინაშე გადაშლილი პერსპექტივები და უაღრესად საჭირო ნაბიჯები გადადგა, რომლის ერთ-ერთი მთავარი შედეგია თურქეთის რესპუბლიკასთან გამართული მოლაპარაკებები და ამის შედეგად ხელმოწერილი ხელშეკრულებები.

ამიერკავკასიაში არსებული სახელმწიფო წარმონაქმნები ცდილობდნენ ერთობლივი ძალებიით აღდგომოდნენ გარე მტრების ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, თუმცა ცხოვრებამ უჩვენა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკა უპერსპექტივო წარმონაქმნი იყო. მან ორი თვეც ვერ იარსება და შინაგანი წინააღმდეგობების შედეგად დაიშალა. 1918 წლის 26 მაისს სეიმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე ოფიციალურად აღიარა ფედერაციის გაუქმება. ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც ამიერკავკასიური ხელისუფლების წინაშე იდგა, იყო თურქეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხი; გრძელდებოდა მსოფლიო ომი, რუსეთის არმია, რომელიც თურქეთის ფრონტზე მოქმედებდა, დაიშალა, ჯარისკაცებმა პოზიციები მიატოვეს და სახლებში დაბრუნდნენ, ხოლო შეტევაზე გადმოსულ თურქეთის არმიას ახლადჩამოყალიბებული ქართულ-სომხური რაზმები ვერ აკავებდნენ. აზერბაიჯანელებმა უარი განაცხადეს ერთმორწმუნე და ეთნიკურად მონათესავე თურქებთან ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე. სწორედ თურქეთთან საზავო მოლაპარაკებების დროს გამოჩნდა ყველაზე ნათლად თუ რა არამყარი იყო ამიერკავკასიის გაერთიანება. სეიმის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ დეპუტაციებს შორის მუდმივი უთანხმოება სუფევდა. აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები ფაქტობრივად თურქეთს ემხრობოდნენ, რომელმაც ამიერკავკასიას დიდი ტერიტორიული მოთხოვნები წაუყენა. ქართველებმა და სომხებმა კი ორიენტაცია გერმანიაზე აიღეს, რათა მას გავლენა მოეხდინა თავის მოკავშირეზე. მართლაც, გერმანიის ჩარევით საქართველო გადაურჩა თურქულ ოკუპაციას. თურქებმა დაიკავეს მხოლოდ მისი სამხრეთ–დასავლეთი ნაწილი ქ. ბათუმით.

სანამ უშუალოდ ამ პრობლემას შევეხებოდეთ, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება უფრო დაწვრილებით გავიხსენოთ როგორ და რა ვითარებაში დამყარდა პირველად დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოს პირველ რესპუბლიკასა და თურქეთის ქემალისტურ მთავრობას შორის. აღნიშნული საკითხი ღრმად აქვს შესწავლილი ქართველ მეცნიერსა და თურქოლოგს მ. სვანიძეს.

1920 წლის 24 სექტემბერს გამწვავდა პოლიტიკური ვითარება და დაიწყო ომი თურქეთსა და სომხეთს შორის. 30 სექტემბერს თურქეთის არმიამ დაიკავა ყარსი, 7 ნოემბერს კი გიუმრი, პარალელურად ბოლშევიკური რუსეთის ჯარებიც შეიჭრნენ სომხეთში აზერბაიჯანიდან და დაიწყეს შეტევა. სომხეთის მთავრობა აღნოჩნდა ორ ფრონტზე, რამაც მდგომარეობა ძალიან გაართულა. ოსმალეთის ჯარი სომხეთის ტერიტორიაზე წინ მიიწევდა და უახლოვდებოდა საქართველოს საზღვრებს. რა თქმა უნდა იმის მოლოდინიც არსებობდა რომ სომხეთზე გამარჯვებულ თურქეთის არმიას შეტევა განეხორციელებინა საქართველოზეც, როგორც ეს 1918 წელს მოხდა, ასეთ ვითარებაში კი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სრული მობილიზაცია გამოაცხადა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი კოტე საბახტარაშვილი უცხოეთში აცნობებდა ,,ქემალ ფაშას ჯარის სომხეთში შემოჭრამ ჩვენს საზღვრებს უშუალოდ დაუახლოვა გარეშე საფრთხე და ამ საფრთხის ასაცილებლად ამოძრავდა მთელი ენერგია ჩვენი ქვეყნისა. ვინაიდან ჩვენთან არ არის საბოლოოდ გარკვეული თურქეთის განზრახვები, ჩვენ ვღებულობთ თადარიგს ჩვენი საზღვრების დასაცავად“. რა თქმა უნდა შესაბამისი ნაბიჯები იქნა გადადგმული ანკარის მთავრობის მხრიდანაც და საქართველოში ჩამოვიდა ანკარის მთავრობის წარმომადგენელი პოლკოვნიკი ქიაზიმ ბეი, რომელმაც შემოიფარგლა მხოლოდ დიპლომატიური და კეთილ მეზობლური განცხადებებით, რაც შემდგომში სრულად იქნა უგულებელყოფილი. ,,საქართველოს მთავრობასთან კეთილი განწყობილებისა და მეგობრული კავშირების მიზნით ჩემმა მთავრობამ დამავალა საქართველოს მთავრობასთან სრულუფლებიანი წარმომადგენბლობა. ანფორის

მთავრობის ერთადერთი ძირითად ინტერესია ნახოს საქართველო დამოუკიდებელი და ძლიერი. დამოკიდებულება საქართველოსა და ანგორის მთავრობას შორის უმთავრესად ამ ძირითადი ინტერესით განისაზღვრება“. საქართველოში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მსგავსმა დიპლომატიურმა ჟესტმა, რამაც განაპირობა დადებითი მუხტი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ გაზეთმა ,,საქაღტველომ“ წერილიც კი მიუძღვნა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს ,,ჩვენ და ოსმალეთი“. წერილში ხაზგასმითაა აღნიშნული რომ ,, ჩვენ გვჯერა ანგორის მთავრობისა“.

ქართული პოლიტიკური აზრის მესაჭენი ოსმალეთის წარმომადგენელთა კულუარულ შეპირებებს ნდობას არ უცხადებდნენ და საქართველოს სამხრეტი საზღვრების აღიარებასთან მიმართებაში ოფიციალური დოკუმენტით აღიარებას მოითხოვდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ ,,საქართველოში“ დაბეჭდილ მოწინავე წერილში ,,თბილისი და ანგორა“ოსმალური ,,მეგობრობის შესახებ“ ქიაზიმ ბეის შეპირებები კითხვითი ნიშნის ქვეშ იყოდაყენებული. რადგან მან პასუხგაუცემელი დატოვა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი - ოსმალეთი ,,სამუსლიმანოი საქართველოზე“ ხსნიდა თუა არა თავის პრეტენზიებს.იგივე სტატია ამ ფონზე განიხილავდა ქიაზიმ ბეის კეთილ ნებას საქართველოსადმი. მკითხველი საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების შეცდომაში არ შეყვანის მიზნით, იქვე ერთხელ კიდე ხაზგასმითაა აღნიშნულირომ ქიაზიმ ბეი გადაჭრით არაფერს ამბობს.

ქართულ თურქულ ურთიერთობებში უდიდესი ადგილი უჭირავს და უდიდესი ინტერესით გამოირჩევა ყარსის ხელშეკრულება და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. აღნიშნულ თავში განვიხილავთ ყარსის თითოეულ მუხლს დეტალურად:

პირველ მუხლში განსაზღვრულია რომ ყველა ის ხელშეკრულება რომელიც დაიდო სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებით მოსკკოვის ხელშეკრულებამდე უნდა იცნოს როგორც ბათილი.

მეორე მუხლში განსაზღვრულია რომ საქართველომ სომხეთმა და აზერბაიჯანმა არ უნდა ცნონ ის ხელშეკრულებები , რომელთაც არ აღიარებს თურქეთის მთავრობა და

პირიქით თურქეთი არ ცნობს იმ ხელშეკრულებებს სამართლებრივად, რომელთაც არ აღიარებენ ამიერ კავკასიის სახელმწიფოები.

მესამე მუხლი განსაზღვრულია რომ სომხეთის აზერბაიჯანის და საქართველოს საციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობები აღიარებენ რომ ,,კაპიტულაციის სისტემები“ შეუთავსებელია თითოეული ქვეყნისათვის მათი განვითარების გზაზე.

მეოთხე მუხლი განსაზღვრულია ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი, რომელიც შავი ზღვიდან მიუვება შავშეთის მთას.

მეხუთე მუხლი: განსაზღვრულია რომ ნახიჭევანი წარმოადგენს ავტონომიურ რესპუბლიკას აზერბაიჯანის სუვერენიტეტის ქვეშ.

მეექვსე მუხლი: განსაზუღვრულია რომ თურქეთი აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტს ბათუმსა და ბათუმის პორტზე, აღნიშნულ მუხლში არის ორი ქვე პუნქტი 1. აჭარის ავტონომიის მოასხლეობას დაცული და შენარჩუნებული ექნება კულტურული და რელიგიური უფლებები. 2. თურქეთი ისარგებლებს ბათუმის პორტით თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველსაყოფად ყოველგვარი საბა გადასახადების გარეშე.

მეშვიდე მუხლი: განსაზღვრულია რომ თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობა და სსრკ-ს მთავრობა ერთობლივად გააკონტროლებენ საბაჟო გამშვებ ზონებს.

მეერვე მუხლი: განსაზღვრულია რომ ორივე ქვეყნის მკვიდრებს აქვთ უფლება თავიანთ პირუტყვთან ერთად გადალახონ საზღვრები ზაფხულისა და ზამთრის პერიოდში საძოვრების ათვისების მიზნით

მეათე მუხლი: განსაზღვრულია, რომ იმ შემთხვევაში თუ თურქეთში მაცხოვრებელი ქართველები უარს იტყვიან თურქეთის მოქალაქეობაზე ისინი თავისუფლად დატოვებნ ტერიტორიას და პირიქით თუ საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეს სურვილი ექნება რომ დატოვოს ტერიტორია და გადავიდეს თურქეთის ტერიტორიაზე მოქალაქეობის მიღების მიზნით მას პრობლემა არ უნდა შეექმნას.

ყარსის სხვა მუხლები უკავშირდება მეზობელ სახელმწიფოებს ან რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობებს. ყარსის ხელშეკრულების ერთერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია ის რომ ხელშეკრულების ვადები არ იქნა განსაზღვრული ხელშეკრულების არცერთი პუნქტით, ზოგიერთი მკვლევარის აზრით ვადების განუსაზღვრელობა მიანიშნებს ხელშეკრულების უვადობაზე, თუმცა ეს ნაკლებად შეესაბამება რეალობას სამართლებრივი თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია წარმოვადგინოთ ის დამოკიდებულება რაც იყო ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაფიქსირებული იმ პერიოდის საქართველოში უშუალოდ ყარსის ხელშეკრულებისადმი. გაზეთ **ტრიბუნაში** ვკითხულობთ ს. ხუნდაძის სტატიას, რომელსაც მიაჩნია რომ ეს ხელშეკრულება იქნება გარანტი ქართული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებისა.

პრავდა გრუზია-ში“ ვკითხულობთ (1921 წლის 16 ოქტომბერი) რომ საზოგადოებაში პოზიტიური განწყობაა ხელშეკრულებისადმი, რაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს რადიკალურად შცვლის. ხოლო გაზეთ ,,სოციალის-ფედერალისტში (1921 წლის 16 მარტი) ვკითხულობთ ,,წითელი არმია მოვიდა რა საქართველოში, შექმნა ახალი დასაყრდენი პუნქტი, რომ გამაგრეებულმა წაიწიოს წინ აღმოსავლეთისა და სამხრეთის მშრომელი მასებისკენ“.

თავი მეორე

ცივი ომი და თურქეთი როგორც ნატოს ერთერთი დამფუძნებელი

2.1 პოლიტიკური ვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და ნატოს შექმნა.

ცივი ომის ეპოქაზე საუბრისას ზოგჯერ შევხვდებით ძალიან საინტერესო და ობიექტურ შეფასებებს - სოციალისტური ბანაკი და დასავლეთი სამყარო - ,,უპირისპირდებოდა ერთმანეთს, ორივე ერთნაირად აგებს პასუხს ისტორიის წინაშე, ანუ

ზნეობრივად ისინი თანსწორნი იყვნენ და მათ შორის რადიკალური განსხვავებები თითქმის არ არსებობდა“

1946 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტად მყოფმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც საბჭოთა კავშირის მხრიდან აღქმულ იქნა როგორც ,,ცივი ომის“ გამოცხადებად ,,შტეტინიდან ბალტიის ზღვაზე და ტრიესტამდე ადრიატიკის ზღვაზე - მთელი კონტინენტის გადაკვეთით ევროპაში დაეშვა რკინის ფარდა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, რომელთა ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის, ფარდის იქითა მხარეს აღმოჩნდნენ. ვარშავა და ბერლინი, პრაღა და ვენა, ბუდაპეშტი და ბელგრადი, ბუქარესტი და სოფია, - ეს მშვენიერი ქალაქები და მათი მოსახლეობა... საბჭოთა გავლენის სფეროში მოექცა. ეს გავლენა სხვადსხვა ფორმით მჟღავნდება, მაგრამ მას თავს ვერავინ აღწევს. პირიქით ეს ქვეყნები სულ უფრო ექვემდებარებიან არა მხოლოდ მოსკოვის კონტროლს, არამედ მის პირდაპირ ზეწოლას. დამიჯერეთ, ძალიან ცოტა დრო გვრჩება, ჩვენ არ უნდა დავუშვათ მოვლენების თავისთავადი განვითარება და იმ წუთის ლოდინი, როდესაც რაიმეს შეცვლა უკვე გვიან იქნება“.

ისევე როგორც ბევრი სხვა რამისთვის ბრძოლა ცივი ომის პერიოდში, შავი ზღვისათვისაც მალევე დაიწყო. დაპირისპირებულ მხარეთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა გავლენების მოპოვება-შენარჩუნება. საბჭოთა კავშირმა თავიდანვე აქტიურად მიჰყო ხელი აღნიშნულ საქმეს და დაიძრა აღმოსავლეთისაკენ სადაც და დომინოს პრინციპის შესაბამისად მოქმედებდა და ცდილობდა მაქსიმალურად ხელი შეეწყო კომუნიზმის გავრცელებისათვის როგორც დასავლეთის მიმართულებით ასევე სამხრეთით-თურქეთის მიმართულებით. როგორც უკვე ავღნიშნეთ თურქეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს. იმ შემთხვევაში თუ ის ბოსფორებზე თავის გავლენას გაავრცელებდა უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა მთელი თურქეთი და ბალკანეთი, თუმცა ტრუმენის დოქტრინამ ფაქტობრივად აღმოფხვრა კონკრეტული საფრთხე და

უზრუნველყო აღნიშნული ტერიტორიების დაცვა კომუნიზმისგან, თუმცა რადიკალური გამოვლინებები და ფაქტები მაინც ხდებოდა, რაზეც მიუთითებს მომდევნო ეტაპისათვის თურქეთში კომუნისტების მხრიდან სახელმწიფო რეჟიმის შეცვლის მცდელობა. დასავლეთი და ამერიკი აღშფოთებული იყვნენ კომუნიზმის გავრცელების სიხშირით და საჭირო იყო ისეთი მექანიზმების შექმნა რაც მოახდენდა კონკრეტული საფრთხეების გაუნეიტრალებელყოფას.

სწორედაც რომ 1949 წელს შეიქმნა ნატო-ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაცია, რაც გარანტი იყო მისი წევრი სახელმწიფო უსაფრთხოებისა. ნატოს დაარსებამდე, მსოფლიოში არაერთი სამხედრო ბლოკი შექმნილა, მაგრამ მათგან ნატოს განასხვავებდა ფასეულობათა სისტემა, რაც პრინციპულად ახალი მოვლენა იყო მე-20 საუკუნის გლობალური სამყაროსთვის. მიუხედავად ნატოს არსებობისა რუსეთის გავლენები უდიდესი იყო შავ ზღვაზე, სადაც მმის განკარგულებაში 60-იანი წლებიდან იყო ფრთოსანი რაკეტები ,,პოლარისი“მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც რომ ნატოს შექმნის პარალელურად 1952 წელს შეიქმნა ვარშავის პაქტი, სადაც გაწევრიანებული იყვნენ საბჭოთა კავშირი და მისი მოკავშირე სახელმწიფოები, რომელთა მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ნატოს გაბალანსება, რაც რა თქმა უნდა ურთულეს მმიზანს წარმოადგენდა. 1969 წლის 16 იანვარს ნატოს თავდაცვის დაგეგმარების კომიტეტის მხრიდან შემუშავდა სპეციალური გეგმა სპეციალური სამხედრო-საზღვაო ძალების ჯგუფის შექმნისა და საერთო სამოკავშირეო საჰაერო-საზღვაო ოპერაციების მოქმედებათა კოორდინაციის შესახებ. რა თქმა უნდა მიუხედავად იმისა რომ ნატო უშუალოდ მიმართული იყო თავისი წევრების უსაფრთხოების დაცვაზე, საბჭოთა კავშირის მხრიდან ნატოს თავდაცვის დაგეგმარების კომიტეტის გეგმა აღქმული იქნა როგორც საფრთხე, რომელსაც შეეძლო გამოეწვია სსრკ-ს სუვერენიტეტის შელახვა, საპასუხოდ მათ ნატოს საზღვრებთან მნიშვნელოვანი იარაღები განალაგეს. ცივი ომის დროს სსრკ დიდ ყურადღებას უთმობდა კავკასიას, ვიდრე ბალკანეთის რეგიონს, გამომდინარე მისი უშუალოდ მდებარეობისა. ნატოს პოლიტიკურმა ერთიანობამ, პოლიტიკურმა

სტაბილურობამ და ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის ჰარმონიულმა ურთიერთობებმა ვარშავის ბლოკის წევრ სახელმწიფოებთან უპირატესობა ძალიან ცხადი იყო, რამაც ეს უკანასკნელნი აიძულეს მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყვნენ. ამ მხრივ კი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მე-20 საუკუნეს 70-იან წლებში, რამაც განაპირობა დაძაბულობის შემცირება მსოფლიოს მასშტაბით და ცივ ომში გამარჯვების გზაზე ახალი რეალიები გააჩინა. ამ პერიოდის ყველაზე ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის 1970 წლის შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შემცირებასთან დაკავშირებით.

ასევე მნიშვნელოვანი იყო გერმანიის გაერთიანების საკითხში, როდესაც გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორმხრივი ურთიერთობების შესახებ, რაც ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯი იყოიმ პერიოდისათვის. მიუხედავად იმისა რომ ნატო აქტიურად ვერ ერეოდა სხვასხვა კონფლიქტებში, 1973 წელს ალიანსის აქტიურობას მოჰყვამოლაპარაკებათა პროცესი შეიარაღებული ძალების ბალანსირებული შემცირების შესახებ. 1975 წელს კი ხელი მოეწერა ჰელსინკის აქტს, რამაც საბოლოოდ განმუხტა ურთიერთობები ნატოს ბლოკსა და ვარშავის ბლოკის შემადგენელ სახელმწიფოებს შორის. ნატოს საქმიანობა პირდაპირ მიმართული იყო მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ რაზეც მიუთითებს ის ფაქტიც რომ 1976 წელს განხილულ იქნა პერსპექტივა, რომლის მიხედვითაც მომავალში აუცილებლად გადაიხედებოდა ბირთვული იარაღის შემცირება, რაც ერთერთი პრიორიტეტული საკითხი იყო კუბის კრიზისის შემდეგ, სადაც მსოფლიომ ბირთვული ომის წითელ ხაზზე გაიარა. 70-იანი წლების შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მშვიდობის დარგში და უფრო მეტად ცხადი ხდებოდა რომ ცივ ომში უპირატესობას დასვლეთის სახელმწიფოები ფლობდნენ. საპასუხოდ კი საბჭოთა კავშირი ცდილობდა სიტუაციის უფრო მეტად გამწვავებას, რაც გამოიხატა საკუთარი ძალების დემონსტრირებასა და ავღანეთის ტერიტორიაზე საბჭოთა

ჯარების შესვლით 1979 წლის დეკემბრიდან, უვე ხსენებულის მიუხედავდ დასავლეთის სახელმწიფოები ძალ ღონეს არ იშურებდნენ, რათა კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოებთან მიეღწიათ ისეთ შეთანხმებებს რაც, გარემოს ევროპასა და მსოფლიოში უფრო მშვიდს გახდიდა, აღნიშნულის ნათელ გამოვლინებას წარმოადგენ რონალდ რეიგანის მცდელობები ,,საშუალო სიშორის ბირთვული ძალების შემცირების შესახებ“ ხოლო უკვე 1985 წელს რეიგანმა და გორბაჩოვმა მიაღწიეს შეთანხმებას სტრატეგიული ბირთვული ძალების 50 პროცენტით შემცირების შესახებ.

ცივი ომის დასრულებასა და ნატოს ისტორიაში ერთერთი გამორჩეული-უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა 1987 წლის შეთანხმებამ, რომელიც ითვალისწინებდა ,,ინტერვალური სიშორის ბირთვული ძალების შესახებ შეთანხმებას. რაც აუცილებლად უნდა ჰყოფილიყო კონტროლირებადი ორივე სახელმწიფოს მხრიდან, ანუ ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატები ასევე საბჭოთა კავშირი აამუშავებდნენ ურთიერთკონტროლის მექანიზმს. ქემოთაღნიშნული პროცესები უშუალოდ მიმართული იყო კონფრონტაციების შემცირებისკენ, რასაც დიდი და პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა დასავლეთში, მიზეზი კი იყო საბჭთა კავშირის ჩართულობა ამ პროცესებში. ნატოსა და საბჭოთაკავშირის ურთიერთობა კი ამ პროცესებიდან ძალიან ჩქარა დასრულდა, ჩამოინგრა კომუნისტური სისტემა, რაშიც უდიდესი წვლილი სწორედ დასავლეთსა და ამერიკას მიუძღის. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ რეიკიავიკში გამართულ კონფერენციაზე სადაც გორბაჩოვი და რეიგანიც იყვნენ წარმოდგენილნი უკვე ცხადი იყო რომ საბჭოთა კავშირი ბევრად ჩამორჩა დასავლეთს, უკვე გორბაჩოვიც კი ვეღარ მალავდა იმ პროცესებს რაც ხდებოდა საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში. აღსანიშნავია ისიც რომ ამ პერიოდისათვის ამერიკის მთლიანი შიდა პროდუქტი ორჯერ აღემატებოდა საბჭოთა კავშირისას, ხოლო რაც შეეხება ნატოს, მისი ქმედებები საბჭოთა კავშირის დსაშლის შემდეგ უფრო ქმედითი და პირდსაპირი იყო,

რაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა და ასრულებს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველოფის საქმეში.

2.2 საბჭოთა კავშირ - თურქეთის ურთიერთობები ცივი ომის პერიოდში და საქართველო

მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვეს გლობალურ პოლიტიკაზე, თუმცა ჩვენ ამ შემთხვევაში აქცენტს გავაკეთებთ მხოლოდ და მხოლოდ თურქეთისა და საბჭოთა კავშირის უღთიეწრთობებზე, რომლებიც ძირითადად მიმდინარეობდა სსრკ-ს კარნახით. საბჭოთა კავშირმა როგორც იმპერიალისტმა და გამარჯვებულმა სახელმწიფომ თავისი ინტერესების არეალი ძალიან დიდ სივრცეზე გააფართოვა. აქტიურად დაიწყო დასავლეთ და ცენტრალურ აზიაში კომუნისტური პარტიების მხარდაჭერა, რამაც არაერთი რეჟიმის ცვლილება გამოიწვია. მსგავსი მიზანი ამოძრავებდათ ტუღქეთთან მიმართებაშიც, თუმცა ცხადია ამ ყოველივეს წინ აღუდგა მთელი გლობალური დასავლეთ სამყარო. 1945 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის ერთ ერთ პრიორიტეტულ გეგმას წარმოადგენდა ყარსის ხელშეკრულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში გაუქმებაც, რაც რა თქმა უნდა დადებითად აისახებოდა საქართველოზეც. ყარსის ხელშეკრულების გადახედვა ან გაუქმება ძალიან დიდი რისკისა და საფრთხის წინაშე აყენებდა სრულიად ევროპას და ცხადია მათი წინააღმდეგობა ამ მიმართულებით უდიდესი იყო, საბოლოოდ კი საბჭოთა კავშირის გეგმა დარჩა იდეაში ჩამოყალიბებულ გეგმად და მას პოზიტიური გამოვლინება არ ჰქონია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იმის ალბათობა რომ აჭარაში ,,ავტონომიის“ სტატუსი გაუქმებულიყო ძალიან დიდი იყო, ავტონომიისა, რომლის არსებობაც სრული აბსურდია და ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ მეზობელი სახელმწიფოების ინტერესებს.

1945 წლის შემდეგ თურქეთში პოლიტიკური რეჟიმის ცვლილებამ საბჭთა კავშირს დაუსახა მიზანი, რომ გაევრცელებინა კომუნისტური მმართველობა თურქეთში, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა გაეკონტროლებინა თურქეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკური საქმეები. რაოდენ გსაკვირიც არ უნდა იყოს კომუნისტური პარტია აქტიურად ცდილობდა თურქეთის მასშტაბით მეტად ხელშემწყობი გარემო უზრუნველეყო თავისუფალი არჩევნებისათვის, იმის გათვალისწინებით რომ ამ პერიოდის თურქეთში ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან დაეცა და სოფლის მეურნეობაც ფაქტობრივად სრულად მოიშალა, ეს ყოველივე ხელს უწყობდა კომუნისტური იდეების გავრცელებას სწრაფად და ეფექტურად. დასავლეთისათვის უდიდესი გამარჯვების შემდეგ თურქეთზე საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელება წარმოდგენილი იქნებოდა როგორც უდიდესი მარცხი აღმოსავლეთში, შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით ეფექტური ნაბიჯები გადაიდგო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თურქეთში დაიწყო აქციები, თითქმის ყველა ქალაქი მოიცვა ამ ყოველივემ თუმცა ყველაზე მასშტაბურად მაინც სტამბოლში ხდებოდა ანტისაბჭოური პოზიციების გამოხატვა, სლოგანიც შესაბამისი ჰქონდათ ,,არა საბჭოთა კავშირსა და კომუნიზმს“. დემონსტრაციის დროს კომუნისტური საგამომცემლო ორგანიზაციების და სხვადასხვა კომუნისტური იდეოლოგიის გამავრცელებელი ობიექტები სრულად გადაფარეს ათათურქის ფოტოებით , დემონსტრანტები იმდენად გაბრაზებულები იყვნენ რომ მაღაზიებში რუსული სალათების ეტიკეტები ამერიკულმა ჩაანაცვლა. ამ ყოველივემ მნიშვნელოვნად აისახა თურქეთის პარლამენტზეც და პარლამენტის შიგნითაც არაერთი სუბიექტი გამოჩნდა რომელიც მხარს უჭერდა დემონსტრანტებს, თუმც იყვნენ საბჭოთა კავშირის მომხრეებიც, რომლებიც თვლიდნენ რომ საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობა სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო. მსოფლიო ომის შემდეგ სტალინი უკმაყოფილებას გამოთქვამდა სამხრეთ კავკასიის საზღვრებთან დაკავშირებით, მას არ აკმაყოფილებდა არსებული მდგომარეობა, რადგანაც არსებული საზღვრების განახლება და ყარსის ხელშეკრულების გადახედვა

საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ პოტენციალს ბევრად გაზრდიდა, რადგანაც ეს ტერიტორიები იყო სწორედაც რომ ყველაზე ახლო ევროპასთან, სწორედ აღნიშნული ტერიტორიული სივრციდან შეიძლებოდა ყველაზე იაფად ნავთობის ტრანსპორტირება ევროპისაკენ. ამ გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო იყო სტალინის აეთი ინტერესი თურქეთისადმი, მიუხედავად იმისა რომ ის გარკვეულ ტერიტორიებზეც აცხადებდა პრეტენზიებს.

თურქეთი მაქსიმალურად ცდილობდა წინ აღდგომადო კომუნისტურ იდეოლოგიას და მხარდაჭერა მოეპოვებინათ დასავლეთისგან, თუმცა ტრუმენის დოქტრინამდე (1947 წლის მარტი) ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილების გარეშე დარჩა, ამერიკელი და ინგლისელი დიპლომატებისათვის ნათელი იყო ის თუ რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ თურქეთისათვის არ იქნებოდა შესაბამისი მხარდაჭერა აღმოჩენილი. 1945-1948 წლებში ამერიკის ელჩი ედვინ ვინსონი აცხადებს ,,რუსეთისთვის მთავარ მიზანს წარმოადგენს თურქეთზე დომინირება“. 1952წელი ერთერთი გადამწყვეთი ეტაპია თუქეთში კომუნიზმის დამარცხებისა. 1952 წელს თურქეთი გახდა ნატოს წევრი, რამაც ის დააყენე ,,ძალთა ბალანსის პოლიტიკის“ რეალობაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ამერიკის მხარდსაჭერი მთავარ იდეას წარმოადგენდა შეეკავებინა კომუნიზმი და რეგიონში ბამაბალანსევბელი ძალა ყოფილიყო თურქეთის სახით. შესაბამისად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საბჭოთა კავშირის მცდელობა თურქეთში დაემყარებინა კომუნისტური მმართველობა შეფასდეს როგორც მარცხი. 1945-1960 წლების განმავლობაში თურქეთის სამთავრობა ძალებმა მნიშვნელოვანი რეგულაციები მიიღეს მემარცხენა ძალების მიმართ, თუმცა ამ ყოველივეს მიუხედავად 1960 და 1980 წლებში მემარცხენე ძალების მხრიდან ორჯერ მოხდა სამხედრო გადატრიალების მცდელობა.

ყარსის ხელშეკრულების საკითხის დაყენების გარდა პოტსდამის კონფერენციაზე ერთ-ერთ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა ლაზეთისა და ტაო-კლარჯეთის საკითხიც. 1945 წლის 22 ივლისის სხდომის დღის წესრიგში, საბჭოთა კავშირის

მოთხოვნით დაყენებულ იქნა საკითხი საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შესახებ, რომლის გადასინჯვის შემთხვევაშიც რადიკალურად შეიცვლებოდა საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრები. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ კონფერენციაზე ვიაჩესლავ მოლოტოვმა წარადგინა რუკა(სამწუხაროდ რუკის შესახებ ინფორმაცია არ შემონახულა) რომელიც ნათელს ხდიდა ოფიციალურ საზღვრებს, რაზეც იოსებ სტალინი კანონიერ პრეტენზიას აცხადებდა და დამარცხებულ თურქეთს კიდე უფრო ცუდ მდგომარეობაში აყენებდა. ი. სტალინს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მსგავს ტერიტორიულ პრეტენზიებს უარყოფითი გამოხმაურება ექნებოდა დასავლეთში ისეთი ,,პარტნიორების“ მხრიდან როგორებიც ინგლისი და შეერთებული შტატები იყვნენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ჯერ არ დაბრუნებული ტერიტორიებს შესახებ უკვე ჰქონდათ პრეტენზიები სომხებს, სომხეთის კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა და სრულიად სომეხთა კათალიკოსმა მიმართეს სტალინს რომ მათი პრეტენზიები უნდა დაკმაყოფიებულიყო ყარსთან დაკავშირებით, რომელთა დაბრუნების ამბიციაც მათ უკვე ჰქონდათ, თუმცა ცხადია ეს ყოველივე ხელს უშლიდა აღნიშნული ტერიტორიების დაბრუნებას და იმ პროცესს რომელიც დაიწყო სტალინმა. ბერლინის კონფერენციას სამწუხაროდ არგადუწყვეტია ტაო კლარჯეთისა და ლაზეთის საკითხი. კონფერენციის მთელი აქცენტები გადატანილი იყო ევროპაზე და აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ რუსეთის ძირითადი აქცენტები ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კეთდებოდა. 1953 წლის 30 მაისს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური ნოტა გაუგზავნა თურქეთის მთავრობას სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული რომ საბჭოთა მთავრობა უარს ამბობდა იმ ისტორიულ ტერიტორიებზე, რომლებიც სამართლებრივად ეკუთვნოდა საქართველოს და მისდამი პრეტენზიებს აღარ გამოთქვამდა. მიუხედავად იმისა რომ 1953 წლის შემდეგ რა თქმა უნდა მიმდინარეობდა საბჭოთა და თურქეთის მთავრობებს შორის ურთიერთობები (ტურქეთის პოლიტიკის კარჩაკეტილობის გამო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა ცივი ომის პერიოდში არ ყოფილა გახსნილი და ფართო მასშტაბიანი) და რადგანაც ჩვენი მთავარი მიზანია

მათი ურთიერთობების ანალიზი საქართველოსთან მიმართებაში, სხვა სიღრმეებს აღარ ჩავუღრმავდებით.

2.3.თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები პოსტსაბჭოთა პერიოდში და რუსული ფაქტორის შემცირება

90-იან წლების დამდეგიდან ვითარება რადიკალურად შეიცვალა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გამოიწვია თავის მხრივ დიპლომატიური ურთიერთობებისა და ზოგადად დიპლომატიის აღორძინება განმტკიცება, აუცილებლობა შეიქმნა საერთაშორისო კავშირების გაფართოებისა. ამ ეტაპისათვის საქართველოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების დასტაბილურება, ცხადია საქმე უპირველესად ეხებოდა თურქეთს რომელიც უმოკლეს გზას წარმოადგენს საქართველოსათვის ევროპაში გასასვლელად. ამასთან თურწეთი ნატოს ერთ-ერთი უძლიერესი წევრია და მასთან კეთილმეზობლური კავშირები აუცილებლობას წარმოადგენდა როგორც ქვეყნის უსაფრთხოებისათვის ასევე რეგიონში სტაბილურობის დამყარებისათვის. ხელისუფლების სათავეში დემოკრატრიული ძალების მოსვლამ და ევროპულ ეკონომიკური ცხოვრების ფერხულში ჩაბმამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი თურქეთის გასვლას საერთაშორისო არენაზე. თურქეთიგახდა აქტირური წევრი საერთაშორისო საზოგადოებისა, რამაც მისი როლი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მაქსიმალურად ნგაზარდა ზოგადად ახლო აღმოსავლეთის მასშტაბით. საქართველოსთან ურთიერთობების მოგვარებისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინა თურქეთმაც. ჩვენი ქვეყნის მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა და ღმოსავლეთთან პოლიტიკური და სავაჭრო -ეკონომიკური კავშირების დამყარების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად აძლიერებს თურქეთის ინტერესებს საქართველოსადმი.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში საწყის ეტაპზე საქართველოს მასშტაბით პოზიტიურადგანწყობილი საზოგადოება

თურქეთისადმი ძალიან მცირე ნაწილს შეადგენდა, რაშიც ხელს უწყობდა შედარებით ნაციონალისტური ხელისუფლების არსებობა. ზვიად გამსახურდია აქტიურად ცდილობდა გადაეხედა ყარსის ხელშეკრულებისათვის და მის გაუქმებას ატიურად ცდილობდა, ცხადია საზოგადოებრივი აზრი აჭარაში სამწუხაროდ ერთსულოვანი არ იყო და გარკვეული ძალების მხრიდან პროვოცირებით აქციებიც კი გაიმართა ბათუმში, რათა აღნიშნული საკითხი დღის წესრიგიდან ამოღებულიყო. აჭარაში გამოჩნდნენ ძალები რომლებიც ავტონომიის გაუქმების წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდნენ და ხელს უშლიდნენ სამამულიშვილო საქმეების წარმოებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასლან აბაშიძის პოზიცია, რომელიც ხელს უშლიდა ეროვნული იდეების განხორციელებას.

ცივი ომის დასრულების შემდეგ თურქეთი სრულიად ახალ გარემოში აღმოჩნდა, რაც ანკარას საგარეო პოლიტიკის ძირეული გადახედვისკენ უბიძგებდა. გაქრა საბჭოთა კავშირიდან მომავალი საფრთხე, რამაც თურქეთ-რუსეთის ურთიერთობაზე თავისი პოზიტიური გავლენა მოახდინა. საბჭოთა-თურქული დაძაბულობა შენელებას ჯერ კიდევ 1985 წელს საბჭოთა კავშირის სათავეში მიხეილ გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ იწყებს. ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ თანამშრომლობაში შესამჩნევი პროგრესი იგრძნობა. ეს პროცესი 1991 წლის მარტში თურქეთისა და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტების, ოზალისა და გორბაჩოვის მიერ მეგობრობისა და კეთილმეზობლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა. [4]

1991 წელს საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის შემდეგ მოსკოვის ხელშეწყობით რეგიონული კონფლიქტების ,,პანდორას ყუთი" გაიხსნა, ძირითადად სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში: საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. კონფლიქტებში თურქეთი და რუსეთი სხვადასხვა ბანაკებში აღმოჩდნენ. ამის

[4] მამუკა კომახია - თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია
http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.10&d=HASH23ab13c8e6f2f3daa8e290&gc=1

მიუხედავად, თურქეთი სტრატეგიული და ეკონომიკური ფაქტორების გამო მოსკოვთან დაპირისპირებას ერიდებოდა. შედეგად თურქეთი იძულებული იყო რუსეთთან ურთიერთობაში დელიკატური პოლიტიკა გაეტარებინა, რათა ბალანსი დაეცვა კავკასიისა და ცენტრალური აზიის მუსლიმური და ძირითადად თურქულენოვანი ხალხების მიმართ სიმპატიასა და ანკარას სურვილს შორის, მოსკოვი რუსეთის ,,ახლო საზღვარგარეთში" მონოპოლიის დაბრუნებაში შეეჩერებინა. თურქეთის პოლიტიკის ამოცანა იყო რუსეთში საკუთარი ეკონომიკური [5]ინტერესების მხარდაჭერა და რუსეთის სამხედრო ძალასთან პირდაპირი შეტაკების თავიდან აცილება. თუმცა, რუსეთის საგარეო პოლიტიკის გაურკვევლობა და ცვალებადი მიმართულებები თურქეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურებს და მათ დასავლეთელ კოლეგებს პრობლემებს უქმნიდა.

1992 წლის 30 ივლისი ერთ-ერთ მნიშვნელოვან თარიღად შევიდა საქართველოს ისტორიაში, რადგანაც საქართველოს ეწვია თურქეთის დიპლომატიური კორპუსი, რომელსაც თითქმის ას წლიანი ურთიერთობის წყვეტა ჰქონდა საქართველოსთან, ამ შემთხვევაში კი ნათელი იყო რომ თურქეთი აქტიურად ცდილობდა ურთიერთობების გამყარებას რეგიონის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკურ-გეოსტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ქვეყანასთან, შესაბამისად შეიძლება თამამად იმისთქმა რომ ეს იყო სამშვიდობო ვიზიტი. შეხვედრამ თბილისში კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა და აშკარად ჩანდა მოლაპარაკებებისას დელეგაციათა და მასპინძელთა ურთიერთგაგება-კეთილგანწყობა, თუმცა ცხადია ყველაფერი წყდებოდა ეროვნული ინტერესების დონეზე. მნიშვნელოვანია წარმოვადგინოთ ე. შევარდნაძისა და ს. დემირელის მიერ თბილი სიტყვების გაცვლა. ე. შევარდნაძე: ,,თურქეთი უკვე ის აღარ არის, რაც წინათ იყო. იგი საოცრად გარდაიქმნა, გადასხვაფერდა. თურქეთი შეიცვალა საქართველოსთვისაც, მოგვაპყრო ჩვენთვის ახალი სახე ... იგი არამარტო მეზობელი არამედ მეგობარიცაა". ს. დემირელი: ,,საქართველკო ჩვენი მეზობელი და მეგობარი ქვეყანაა, ქართველები

ჩვენი ძმები არიან. კედელი დაირღვა და ახლა ჩვენს ურთიერთობაში არ არსებობს პრობლემა. ურთიერთობა განვითარდება ისეთი მასშტაბით, როგორსაც საქართველო მოისურვებს.

სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთის ფედერაცია გაცილებით სუსტი სახელმწიფოა, ვიდრე საბჭოთა კავშირი, მაგრამ მისი მნიშვნელობა კვლავაც ანგარიშგასაწევია, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიაში, სადაც ყველა წარმოქმნილ კონფლიქტში მთავარი ფარული თუ აშკარა აქტიორი რუსეთია. ვარშავის პაქტის დაშლის მიუხედავად, რუსეთი კიდევ ფლობს უზარმაზარ ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებს, ბირთვულ რაკეტებსა და უშიშროების საბჭოში მუდმივი ადგილიც უკავია. ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, რომელიც ახლა ნომინალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაშია (დსთ) გაერთიანებული, რუსეთი კვლავაც წამყვანი ,,მოთამაშეა". ექსპერტების აზრით, რუსეთის მხრიდან თურქეთზე პირდაპირი რისკი შეიძლება გაქრა, მაგრამ თურქეთს ახლაც ესაჭიროება რუსეთთან პოტენციური კონფლიქტი აიცილოს, სადაც კი ეს შესაძლებელია, განსაკუთრებით კი იქ, სადაც გაურკვეველია ნატო-ს დანარჩენი წევრები დაუჭერენ თუ არა მას მხარს.

90-იან წლებში რუსეთის გავლენების შესუსტებამ ქვეყანაში სრული კოლაფსი გამოიწვია, თუმცა 1999 წლიდან მას შემდეგ რაც ქვეყნის სათავეში ვლადიმერ პუტინი მოვიდა მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყნის როგორც საშინაო ასევე საგარეო პოლიტიკაც, მეტად გაღრმავდა ენერგეტიკული ურთიერთობები რუსეთსა და თურქეთს შორის. თურქეთი ცდილობს შეამციროს ენერგო დამოკიდებულება რუსეთზე ალტერნატიული გზების მეშვეობით და ცდილობს იყოს და ჩამოაყალიბოს ,,სამხრეთის კორიდორი" რაც უზრუნველყოფს ევროპისათვის ცენტრალური აზიიდან, კასპიის აუზიდან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ენერგო რესურსების მიწოდებას რუსეთის გვერდის ავლით, რასაც რა თქმა უნდა უდიდესი წინააღმდეგობა ახლავს რუსეთის მხრიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი თავის გავლენებს მნიშვნელოვნად შეასუსტებს ევროპაზე, რაც რუსული პოლიტიკისათვის

უდიდესი მარცხი იქნება. ნაბუქო არის ის პროექტი რომელიც წარმოადგენს სამხრეთის კორიდორის ხერხემალს და ერთგვარად პრობლემების შემქმნელია რუსეთთან. თურქეთის მთავრობისათვის რუსეთთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა ხდება ტრანს ანატოლიური ნავთობისადენის არსებობით, რომლის მეშვეობითაც რუსეთიდან ტრანსპორტირდება ნავთობი თურქეთის ხმელთაშუაზღვის ჯეიჰანის პორტში და მეტიც თურქეთიგამოთქვამს მზადყოფნას რომ რუსეთის კომპანიების მიერ მოხდეს პირველი თურქული ატომური ენერგოსადგურის აშენება მთავრობათა შორის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.
როდესაც საქმე ენერგეტიკულ პოლიტიკას ეხება, რუსეთის ამბიციები ამ მიმართულებით ფარავს ევროპის მასშტაბებს და ცდილობს შეინარჩუნოს დომინანტური როლი ევროპულ ბაზარზე ბუნებრივი აირისა და ნავთობის ექსპორტირებით. (დაახლოებით ევროპის 1/3 ნაწილს ნავთობი და აირი რუსეთიდან მიეწოდება) ხოლო თურქეთისათვის უმნიშვნელოვანეს მიზანს და ინტერესს წარმოადგენს უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოება. როგორც უკვე ავღნიშნეთ თურქეთს სურს შეასრულოს სამხრეთის კორიდორის ფუნქცია რაც შეამცირებს თურქეთზე დამოკიდებულებას და მის გეოპოლიტიკურ როლს და მნიშვნელობას გაზრდის, ისიც აღსანიშნავია რომ ასეთ შემთხვევაში თურქეთი შეძლებს ბევრად მისაღები ფასები დააწესოს ენერგო რესურსებზე. რუსეთსა და თურქეთს შორის 1997 წელს უმნიშვნელოვანეს შეთანხმებას ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ,,ცისფერი ნაკადის“ სახელით არის ცნობილი და 25 წლის განმავლობაში თურქეთს უნდა მიეწოდოს 365 მილიონი კუბური მეტრი გაზი.

ამგვარად რუსეთი თურქეთს გაზს აწვდის ,,ცისფერი ნაკადის“ ორი ხაზის მეშვეობით, რომლებიც გადის შავი ძღვითა და ტრანსბალკანური მარშრუტით.

თავი მესამე

თურქული ექსპანსიონიზმი და საქართველო

3.1. დავითოღლუს დოქტრინა და თურქული ინტერესები

ვარდების რევოლუციისა და 2004 წელს საქართველოს პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილის არჩევის შემდგომ საქართველო თურქეთს შორის ურთიერთობები უფრო გააქტიურდა. 2005 წელს ორივე სახელმწიფომ ერთმანეთის მოქალაქეებისთვის სამ თვემდე ვადიანი ტურისტული ვიზების აღების აუცილებლობა გააუქმა, 2012 წლიდან კი, ორივე ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს საერთო საზღვრის გადასაკვეთად საერთაშორისო პასპორტის ქონაც კი აღარ სჭირდებათ, საამისოდ პირადობის მოწმობაც საკმარისია. ამასთან, საქართველომ 2007 წელს თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დადო. სააკაშვილის მთავრობას იმ დროს თურქეთისთვის ამ შეთანხმებით გადაჭარბებული პრივილეგიების მინიჭებაში სდებდნენ ბრალს. მიუხედავად იმისა რომ თურქეთი დღეისათვის ერთერთი ყველაზე სტაბილური პარტნიორია, ნეოოსმალიზმის იდეის გაჩენამ და აღზევებამ, რასაც თურქეთის პოლიტიკური გარემოც უწყობს ხელს მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინა საზოგადოებაში და დასვა უდიდესი კითხვის ნიშანი: თურქეთი მეგობარი თუ სახელმწიფო რომელიც აგრძელებს ქემალისტური იდეების განხორციელებას? რა თქმა უნდა ქართულ პოლიტიკურ წრეებში ნაკლებად მიმდინარეობს აღნიშნული კითხვების განხილვა, რაც საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ არის საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. საქართველო თურქეთის ურთიერთობების ნათელ წერტილად იყო მიჩნეული საქართველოში დაახლოებით 40 ათასამდე (პოტენციურად მაჰმადიანი ქართველისათვის) მოსახლისათვის მოქალაქეობის მინიჭება, რაც შეიძლება მსგავს კონტექსტშიც კი მოვიხსენიოთ ,,ქართველების დაბრუნება?“ რეალურად ამგვარი ქმედება პირდაპირ მიმართული იყო ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და ხელს უწყობდა თურქული ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარებისა და ჩამოყალიბების პროცესს. ჩვენ აქ არ ვსაუბრობთ საქართველოს იმდროინდელი მთავრობის შეცდომებზე, თუმცა

შეიძლება გაუცნობიერებლად ან სახელმწიფო საქმის კეთების მიზნით მათ რადიკალურად განსხსვავებული რეალობა დააყენეს. რა თქმა უნდა აღნიშნული პროცესი არის ერთერთი მნიშვნელოვანი< თუმცა საჭიროა ხაზი გავუსვათ სხვა ფაქტორებსაც, რომლებიც ნეგატიურად აისახება საქართველოს უსაფრთხოებასა და ეროვნულ ინტერესებზე. 1. რელიგიური ფაქტორების გამოყენება; 2. ეკონომიკური ექსპანსიონიზმი;

1. მიუხედავად იმისა რომ აჭარაში საპატრიარქოს აქტიური ქმედებებით მნიშვნელოვნად შეიცვალა რელიგიური გარემო და გაქრისტიანების პროცესი მეტ-მაკლებად ჩქარი ტემპებით მიმდინარეობს

   ერწიუობს, რაც ნამდვილად პოზიტიური გამოვლინებაა როგორც რეგიონისთვის ასევე თავის მხრივ ქვეყნისთვის, თუმცა პარალელურად გააქტიურდა ისლამიზაციაც თურქეთის ზემოქმედებით. ბათუმსა და თბილისს შორის კონფლიქტი დღესდღეობით განმუხტულია და ამ ავტონომიური რესპუბლიკის უფლებებიც მნიშვნელოვანწილად შეზღუდულია. ბათუმს არც რუსეთის იმედი აქვს და არც თურქეთთან განსაკუთრებულ ურთიერთობებს ითხოვს, კონფლიქტის ხაზი აჭარის საზოგადოების შიგნით უფრო გადის, რაშიც ხელს უწყობენ მუსლიმი სასულიერო პირებიც, რომელთა დაფინანსება ხდება უცხოური წყაროებიდან(თურქეთიდან) ამ რეგიონის თურქეთთან დამოკიდებულების საკითხი, რაც მთელი საქართველოს მასშტაბით განიხილება, აჭარის თურქეთთან სიახლოვისა და მოსახლეობის მუსლიმური ნაწილის გამო, განსაკუთრებით მწვავეა. არ შეიძლება იმის არ აღნიშვნაც თუ რაოდენ დიდია აჭარაში ნაციონალიზმის დონე და პატრიოტიზმი, რასაც არანაირი ზედმეტი მტკიცება არ სჭირდება. მიუხედავად რელიგიური სხვაობისა მათთვის ეროვნულობა შეიძლება ითქვას ყველაზე სენსიტიური საკითხია. ქართული საზოგადოების ნაწილი შიშობს თურქეთის გავლენის გაძლიერებას ამ

რეგიონში, სადაც მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი თავს მუსლიმად მიიჩნევს, დანარჩენი ორი მესამედი კი - მართლმადიდებელ ქრისტიანად. კონფლიქტები მწვავდება ძირითადად თურქული ფულით ახალი მეჩეთების მშენებლობისა თუ ძველი მეჩეთების აღდგენის საკითხის გარშემო - რომლებიც რელიგიური საკითხების სახელმწიფო პრეზიდიუმისა (Diyanet İşleri Başkanlığı) თუ კერძო ხელიდან გაცემული თანხებით ფინანსდება. ქართული ეროვნული იდენტობის მქონე ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მჭიდრო შერწყმის გამო, აჭარის ქართულ(ენოვანი) მუსლიმური მოსახლეობა გაქრისტიანების ფარულ პოზიტიურ ზეწოლას განიცდის. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია კატეგორიულად მოითხოვს, რომ მეჩეთები ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლების რესტავრაციის სანაცვლოდ აშენდეს.

2. სააკაშვილის პრეზიდენტობიდან წასვლის შემდეგაც ქვეყნებს შორის ურთიერთობები მჭიდრო დარჩა; 2013 წლის ოქტომბერში არჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საზღვარგარეთ თავისი პირველი სახელმწიფო ვიზიტის ქვეყნად თურქეთი აირჩია, სადაც ის თურქეთის პრეზიდენტს აბდულა გიულს შეხვდა. მას შემდეგ, რაც სააკაშვილის პარტია *ერთიანი ნაციონალური მოძრაობა* 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა და სააკაშვილს პრეზიდენტობის ორი ვადის გასვლის შემდეგ 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება აღარ შეეძლო, ახალმა მთავრობამ - ჯერ არჩევნებში გამარჯვებული პარტია *ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს* ლიდერის, პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის, მეთაურობით - 2013 წლის ნოემბრიდან კი მთავრობის ახალი თავმჯდომარის, ირაკლი ღარიბაშვილის მმართველობის პერიოდში, მართალია, ჯერ ცოტა კრიტიკული ტონი გამოავლინა, თუმცა თურქეთთან მჭიდრო ურთიერთობა ძველებურად

გააგრძელა. თურქული კომპანიები ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საქმეში ძველებურად ლიდერობენ, თბილისი და ანკარა 2015 წლის იანვარში საბაჟო საქმიანობაში თანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ. თურქეთსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უსაფრთხოების, სამხედრო და ინფრასტრუქტურის სფეროებს აქვს. საქართველო, როგორც თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის სატრანზიტო ქვეყანა, ანკარასა და ბაქოსთვის ცენტრალური პარტნიორია. ასე მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზურუმის (BTE) გაზსადენი საქართველოზე გადის. ინფრასტრუქტურის კიდევ ერთი პროექტი თურქულ ყარსსა და ქართულ ახალქალაქს შორის სარკინიგზო კავშირი გახლავთ, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზის ბაქო-თბილისის მონაკვეთს შეუერთდება. სამშენებლო სამუშაოები, მართალია 2011 წლის ბოლომდე იყო დაგეგმილი, თუმცა დასრულების ვადები გადაიწია.

სამხედრო თანამშრომლობა ანკარამ და თბილისმა ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაიწყეს. თურქეთის ხელშეწყობა სამხედრო წვრთნებისა და ჯარების მოდერნიზაციის სფეროში უპირველესად საქართველოსთვის იყო მომგებიანი. 2001 წელს თურქული დახმარების შედეგად გაიხსნა მარნეულის აღდგენილი სამხედრო აეროპორტი; 2002 წელს კი საქართველოში თურქული სამხედრო ჯარების ხელშეწყობით შეიქმნა „United Military Academy“, რომლის პერსონალიც ნაწილობრივ თურქული ჯარებისგან კომპლექტდება. ამასთან, ქართული ჯარები თურქეთის მეთაურობით საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მანამდეც მონაწილეობდნენ, მაგალითად KFOR-ში კოსოვოში. საქართველო ნატოს წევრ თურქეთთან ასეთი სახის სამხედრო თანამშრომლობას, პირველ ყოვლისა, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიზნისკენ მიმართულ საშუალებად აღიქვამს.

წარმატებულად გრძელდება ორი ქვეყნის თანამშრომლობა განათლების სფეროში. 2014 წლის 9 სექტემბერს, თურქეთის განათლებისა სამინისტრომ დაამტკიცა, რომ თურქეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, იმ შემთხვევაში თუ მსურველი იქნებოდა ათ ბავშვამდე, აღნიშნულ შემთხვევაში ნებას რთავენ სწავლა განათლება წარიმართოსქართულ ენაზე 244 საათის განმავლობაში.

თურქეთის მხრიდან ინვესტიციების ზრდა და საქართველოში რელიგიური საკითხის გამოყენება თავის საკეთილდღეოდ უპირველესად უკავშირდება აჰმედ დავითოღლუს და თავის დოქტრინას ნეოოსმალიზმის შესახებ. დავითოღლუ აქტიურად მუშაობდა თავის დოქტრინალურ ვერსიაზე წინა საუკუნის 90-იან წლებიდან. ამ მიმართულებით მუშაობაში მის ირგვლივ შემოკრებილნი იყვნენ თურქი აკადემიური წრეებიც, რამაც თავის მხრივ აისახა დოქტრინის რაობაზე. დავითოღლუს ადრეული გამოცემები ეფუძნებოდა საკმაოდ მოძველებული გეოპოლიტიკური მოდელების შექმნას, თუმცა 2000 წლამდე მან მნიშვნელოვანი მოდერნიზაცია განიცადა.

დავითოღლუს სტრატეგიული ჩარჩო მიმართულია იქეთკენ, რომ ძირითადი ლიბერალური ღირებულებებით შეავსოს თავისი დოქტრინა და წარმოადგინოს ის უფრო მოქმედი, თანამედროვე და ნაკლებად ხისტი პოლიტიკური კურსის თვალთახედვით. 2001 წელს დავითოღლუს მიერ გამოქვეყნებულ თავის წიგნში ,,სტრატეგიული სიღრმე“ შემუშავებულია სტრატეგიული ხედვა თურქეთის საგარეო და რეგიონალური პოლიტიკის შესახებ. დოქტრინის მიხედვით თურქეთი უნდა გახდეს სახელმწიფო, რომელსაც უმნიშვნელოვანესი როლი უნდა ჰქონდეს რეგიონში და უნდა იყოს მოწინავე სახელმწიფო, სახელმწიფო რომელიც იქნება ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც რომ აღნიშნული დოქტრინის მიხედვით ისლამი უკანა მხარეს არის გადაწეული და მას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობებში, თუმცა მისი როლი განსაზღვრულია რეგიონის მასშტაბით. თუ

გავითვალისწინებთ იმ გარემოებას რომ ისლ;ამის მიხედვით ყველა მუსლიმი ძმაა განურჩევლად საზღვრებისა , მსგავსი დოგმატური ხედვების გარეშე პანისლამიზმი და ნეო ოსმალიზმი სახე დაკარგულ დოქტრინალურ დოცუმენტად იქნებოდა წარმოდგენილი, სწორედ ამიტომ დავითოღლუს დოქტრინაში მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აჰმედ დავითოღლუს მიდგომებს თუ გავითავისებთ ჩვენ მივიღებთ ოსმალურ იმპერიას, რომლის ტერიტორიებიც მოიცავს ახლო აღმოსავლეთს, კავკასიას, რა თქმა უნდა მოისაზრება აჭარაც, მოიცავს ბალკანეთს, ცენტრალური აზიის თურქულენოვან სახელმწიფოებს და ხმელთაშუა ზღვის სივრცეს. დოქტრინის მთავარ პოსტულატს წარმოადგენს შემდეგი: თურქეთმა ნაკლები დამოკიდებულება უნდა გამოავლინოს რეგიონის სახელმწიფოებზე და შეეცადოს მოახდინოს პროაქტიური პოლიტიკის შემუშავება, რომლის მიხედვითაც აღდგენილ უნდა იქნას ოსმალეთის მემკვიდრეობა თავისი ისტორიულ გეოგრაფიული თვალსაზრისით.

დავითოღლუს მტკიცებით, თურქეთმა ყველა ორმხრივი დავა უნდა გადაწყვიტოს საერთაშორისო ფრონტზე, რომლებიც ხელს უშლის ურთიერთობებს მეზობლებთან ,,ნულოვანი პოლიტიკური პრობლემები მეზობლებთან“. იმისათვის რომ თურქეთი გახდეს რეგიონის ლიდერი სახელმწიფო და გლობალური სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინოს საჭიროა გადალახოს PHOBIC სინდრომები და მეტად სტაბილური გახდეს.

2002 წლამდე დავითოღლუ იყო პრემიერ მინისტრისა და საგარეო საქმეთა მწარმოებლის მრჩეველი, შესაბამისად მან აქტიურად დაიწყო თავის გეგმის შესრულება და თეორიის პრაქტიკაში განხორციელება, მან ერთგვარი ცდაც კი ჩაატარა, რომლის ნათელი მაგალითია თურქეთის ამჟამინდელი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის მასშტაბით. მნიშვნელოვანბი ძვრები შეიმჩნევა ურთიერთობების დასტაბილურებისა სომხეთთან, სირიასთან და ერაყთან ასევე მნიშვნელოვანია მცირე პოზიტიური ცვლილებები კვიპროს-საბერძნეთთან მიმართებაშიც. თურქეთისათვის პრიორიტეტულ და სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს ქურთებთან

ურთიერთობა. 2009 წელს ერდოღანმა ქურთულენოვანი სახელმწიფო ტელევიზიაში (TRT SES) საჯაროდ განაცხადა რომ მისი მთავრობა აუცილებლად მიიღებს ზომებს, რომელთა განხორციელებაც აუცილებლად აისახება ქურთების მდგომარეობასა და კეთილდღეობაზე, რაც გულისხმობდა თანაბარ უფლებიანობას თურქებთან. მსგავსი პოზიციის დაფიქსირება კი სწორედ დავითოღლუს დოქტრინის ეფექტურმა მოქმედებამ განაპირობა. რა თქმა უნდა იმის მტკიცება რომ დავითოღლუს დოქტრინა პირდაპირ გავცრცელდა საქართველოშიც აზრს მოკლებულია, თუმცა ცხადია პოლიტიკურ-ეკონომიკური ექსპანსიონიზმი აქტიურად მიმდინარეობს, რაც უმიზეზოდ ნამდვილად არ ხდება, მიზეზებზე კი უკვე ვისაუბრეთ ზემოთ ხსენებულში. დღეს საქართველო იმყოფება ისეთივე იმპერიალისტური ქვეყნების არეალში როგორშიც იმყოფებოდა საუკუნეების განმავლობაში. შესაბამისად აუცილებელი რისკების შეფასება და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მაქსიმალურად.

3.2. საქართველოს პოლიტიკურ–ეკონომიკური ურთიერთობები თურქეთთან და რუსული რბილი ძალა

საქართველო თურქეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავების პარალელურად, აღნიშნულ ურთიერთობებში ჩაერთო აზერბაიჯანი და მას სამმხრივი ურთიერთობების სახე მისცა. სამმხრივი ურთიერთობების მიმართულებით მნიშვნელოვან წლად სახელდება 2002 წელი, როდესაც შედგა ერთიანი თანამშრომლობა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით. მნიშვნელოვანი საბიჯები გადაიდგა ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში, თუმცა ყურადღება ექცეოდა ასევე სხვადასხვა ენერგოგამტარი გზების დაცვასაც. 2012 წელს, ტრაპზონში, საქართველომ თურქეთმა და აზეირბაიჯანმა მიაღწიეს შეთანხმებას სამხედრო საქმეში, რაც გამოხატულებაა იმისა რომ მთავრობათაშორისი

ურთიერთობები პროგრესირებადია. აღნიშნულმა შეხვედრამ პოზიტიურად იმოქმედა შემდგომში სახელმწიფო მეთაურების შეხვედრაზე. ქვეყნებს შორის ურთიერთობების განმტკიცებაზე მიუთითებს სამხედრო წვრთნების სისტემატური ჩატარება. სამთავრობოთშორის შეხვედრების წარმოებამ ასახვა ჰპოვა ეკონომიკური ურთიერთობებზეც, დღეს თურქეთი საქართველოს ნომერ პირველი პარტნიორია. ქართული სტატისტიკის სამსახურის *Geostat*-ის მონაცემების მიხედვით, საქართველოს თურქეთში ექსპორტი 2004 წელს 100 მილიონი აშშ დოლარის ნიშნულს პირველად ასცდა, 2008 წელს კი 200 მილიონს გადააჭარბა. 2014 წელს საქართველოს თურქეთში ექსპორტი 239 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. ამით თურქეთმა საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტის რაოდენობით აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის შემდეგ მეოთხე ადგილი დაიკავა. საქართველოდან რუსეთში ექსპორტი 2014 წელს 274 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მაგრამ 2005-2012 წლებში 100 მილიონ აშშ დოლარზე ბევრად ნაკლები იყო. 2015 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოდან რუსეთში 2015 წლის მთლიანი ექსპორტი 2014 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებია.

[6]

[6] მყიფე წონასწორობა. თურქეთი, საქართველო და დე ფაქტო სახელმწიფო აფხაზეთი https://ge.boell.org/ka/2018/02/05/mqipe-conascoroba-turketi-sakartvelo-da-de-pakto-saxelmcipo-apxazeti



საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობა სტრატეგიულ ხასიათს ატარებს და წარმატებით ვითარდება, როგორც პოლიტიკურ, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში.

ორ ქვეყანას შორის არსებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა მოიცავს 76 მოქმედ ხელშეკრულებას და თანამშრომლობის თითქმის ყველა სფეროს არეგულირებს.

აქტიურია ვიზიტების ურთიერთგაცვლა როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ორგანოების დონეზე.

ორი ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ მიმოსვლის გამარტივებული რეჟიმით, პირადობის მოწმობების საფუძველზე.

საქართველოს თურქეთს შორის დღეისათვის მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი. თურქეთიდან განხორციელებული ინვესტიციები საქართველოში პირველ ადგილს არავის უთმობს ამასთან, საქართველო დაინტერესებულია გაზარდოს ექსპორტი თურქეთის ბაზარზე.

აღსანიშნავია საქართველო-თურქეთის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებული ენერგეტიკული პროექტები, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, ასევე მნიშვნელოვანია ბაქო-თბილის ყარსის რკინიგზის ხაზი. წარმატებულად გრძელდება აქტიური თანამშრომლობა სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტების განხორციელებისა. მნიშვნელოვანია, რომ 2013 წელს დასრულდა და ფუნქციონირებს ახალციხე-ბორჩქას მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც ახალ შესაძლებლობას ქმნის ელექტროენერგიით ვაჭრობის თვალსაზრისით. აშკარაა თურქეთზე საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება იმპორტის სფეროში. 2014 წელს საქართველომ თურქეთიდან 1,727 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საქონლის იმპორტირება მოახდინა, რუსეთიდან კი - მხოლოდ 575 მილიონი აშშ დოლარის ღირებულებისა. [7]

საქართველო-თურქეთის ურთიერთობა თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა თანამშრომლობის ახალი ფორმატის - მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს დაფუძნებით, რომლის პირველი შეხვედრა გაიმართა ანკარაში, 2016 წლის 19 ივლისს, პრემიერ-მინისტრების დონეზე. სხდომის ფარგლებში ხელი მოეწერა ,,ანკარის განცხადებას“ რომელშიც ასახულია საქრთველო-თურქეთის თანამშრომლობის ყველა ძირითადი მიმართულება.

თურქეთის ეკონომიკური ექსპანსიონიზმის საპირისპიროდ საქართველოს მედგრად უტევს რუსული რბილი ძალის პოლიტიკა, რომელიც უკიდურეს საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსათვის, იმ ფონზე როდესაც რუსეთი მეზობელ სახელმწიფოებს ისე ექცევა, თითქოს ისინი კოლონიებს წარმოადგენდნენ. გარდა იმისა რომ რუსეთი მეზობელ სახელმწიფოებში აქტიურად იყენებს სეპარატისტულ მოძრაობებს, მისი რბილი ძალის პოლიტიკა აგებულია ტყუილსა და დეზინფორმაციაზე. რუსეთი ყველანაირად ცდილობს გავლენის შენარჩუენბას

[7] ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის
http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations/თურქეთის-რესპუბლიკა.aspx

პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებზე და ამისთვის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ორგანიზაციაც - დსთ შექმნა, ხაზგასმით შეიძლება იმის თქმა რომ ამ პროექტმა არ გაამართლა. შესაბამისად მათ მიმართეს უფრო მკაცრ მეთოდებს მაგ. სეპარატიზმის გაღვივების მცდელობას რეგიონის სხვადასხვა წერტილებში ან ეკონომიკურ ზეწოლას ახორციელებდა, რომლის წინაშეც მეზობელი სახელმწიფოები თითქმის უძლურნი იყვნენ.

რუსული მართლმადიდებელი ეკლასია უდიდეს როლს თამაშობს და ხელს უწყობს რუსეთის არასამართლებრივი ქმედებების განხორციელებას, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი რადგან ისინიც ეროვნული ინტერესებიდან გამოდიან. იქმნება შთაბეჭდილება რომ მოსკოვს ნაკლებად სჯერა კლასიკური მოდელისა რბილი ძალის და ხშირად მიმართავს ხისტი პოლიტიკის ელემენტებს, მაგალითად როგორც ეს მოხდა უკრაინის კრიზისის შემთხვევაში. რუსული საინფორმაციოარხების მხრიდან მიდიოდა აქტიური გაშუქება ინფორმაციისა, რომლის მიხედვითაც არსებობს სლავური და რუსული სამყარო, სამყარო რომლის განუყოფელი ნაწილია უკრაინა, პარალელურად მიმდინარეობდა პროპაგანდისტული მესიჯების გავრცელებაც სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული რომ ის რაც ხდება თითოეულ კომპონენტში ბრალი მიუძღვის დასავლეთს. ობიექტურად თუ შევაფასებთ გარკვეულწილად დასავლეთის ბრალეულობაც იკვეთება, თუმცა რუსეთის წვლილი უდიდესია აღნიშნულ შემთხვევაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ რუსული პროპაგანდისტული მანქანის ეფექტურ მოქმედებას ხელს უწყობს რუსული ენის ფართო გავრცელება საქართველოს მასშტაბით, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში, შესაბამისად ისინი ხშირად მსხვერპლი ხდებიან რუსული პროპაგანდისტული მედიისა. შეიძლება უცნაურად ჟღერდეს თუმცა წინა მთავრობის პერიოდში საქართველოში ფუნქციონირებდა რუსლ ენოვანი სატელევიზიო არხი, რომელიც პირდაპირ ხელს უწყობდა რუსული საინფორმაციო ველის გაფართოებას, უცნაურია იმ ფონზე რამდენადაც წინა ხელისუფლება ,,100%-ით პროდასავლური

იყო“. 2012 წელს ხელისუფლების შეცვლის მომენტიდან არხი დაიხურა-ფუნქციონირება შეუწყდა.

ამრიგად რუსული რბილი ძალის პოლიტიკას საკმარისი პირობა აქვს იმისათვის რომ იყოს მეტად ეფექტური და მოქნილი საქართველოში, უსაფრთხოების სამსახურებმა კი ყველაფერი უნდა გააკეთონ მის შესაჩერებლად, რადგანაც ცხადია საინფორმაციო ომში მათი უპირატესობა ძალზედ ცხადია.

3.3. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი და თურქეთი

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებისათვის ძალიან სენსიტიურ საკითხს წარმოადგენდა და მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო 2008 აგვისტოს რუსეთ - საქართველოს ომი. ხუთდღიანმა ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა გეოპოლიტიკური რეალობა რეგიონში და გაზარდა საფრთხე იმისა, რომ რუსეთი რეგიონში სამხედრო ალების გამოყენებას გააგრძელებდა, რაც კიდე უფრო დააზიანებდა თურქეთის სტრატეგიულ პოზიციას არამარტო საქართველოს არამედ რეგიონის მასშტაბით. ცხადია მოსკოვისათვის ანკარა უმნიშვნელოვანეს პარტნიორს წარმოადგენს პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგანაც უპირველესყოვლისა თურქეთი ფლობს შავი ზღვის გასაღებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების კონტროლის მეშვეობით. აღნიშნულ ურთიერთობებსა და კონფლიქტში უდიდესი როლი ითამაშა 1936 წელს გაფორმებულმა მოტრეს დოქტრინამ, რომლის მიხედვითაც თურქეთი იღებს გარანტიებს იმისა რომ არასანაპირო სახელმწიფოთა შემოსვლა სრუტეებში აეკრძალოს, ეს ეხება როგორც ნატოს წევრ სახელმწიფოებს ასევე თავის მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. საგულისხმოა რომ ომის პერიოდში სწორედაც რომ მონტრეს ხელშეკრულება ამოქმედდა და შეზღუდა

თურქეთის მოკავშირე ნატოს წევრი სახელმწიფოების შემოსვლა ზღვაში და მათ არ მისცა უფლება ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდებისა საქართველოსათვის. ცხადია ნება რომ ყოფილიყო თურქეთი დაარღვევდა მარტივად თითქმის საუკუნის წინ დადებულ ხელშეკრულებას თუმცა ისიც ცხადია რომ ის ასეთი პოლიტიკური გადაწყვეტილებისათვის მზად არ ღმოჩნდა, რისი განმსაზღვრელი მიზეზიც არის რუსეთთან კონფრონტაციის თავიდან არიდება და ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის, თურქეთი ენერგოდამოკიდებულია რუსეთზე.. პოლიტიკურმა ურთიერთობებმა თურქეთსა და რუსეთს შორის რადიკალურად განსხვავებული განვითარება ჰპოვა და ერთი შეხედვით პრიზმაში გატარდა სადაც დაიბადა ახალი სინათლე ახალი ურთიერთობებისა. შესაბამისად ახალი საუკუნის დასაწყისში ტურქეთი და რუსეთი ერთმანეთს პარტნიორებად უფრო განიხილავენ ვიდრე დაპირისპირებულ მხარეებს, რომლებიც რეგინში ჰეგემონიისათვის მიისწრაფვიან. რუსეთისა და თურქეთის მთავარი პოლიტიკური ვექტორი შეიცვალ და ისინი ცდილობენ დასავლური საზოგადოების მხრიდან არ იქნენ აღქმული როგორც მეორე ხარისხოვანი სახელმწიფოები, შესაბამისად მათ შორის ძალიან განვითარდა პოლიტიკურ ურთიერთობებთან ერთად სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობებიც.

მაგალითისათვის მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემები მოვიყვანოთ, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს თუ რამდენად ვითარდება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები მაგალითად , 2003 წელს - 6,819, ხოლო 2012 წელს 33,303 მილიონი აშშ დოლარი იყო სავაჭრო ბრუნვა. 2006 წლის მონაცემებით, რუსეთი თურქეთისთვის იმპორტის მხრივ მეორე, ხოლო ექსპორტის მხრივ მერვე მსხვილი პარტნიორი იყო (მანჩხაშვილი, 2013, 284). 2014 წლის Turkstat-ის მონაცემებით კი, თურქეთისთვის რუსეთი იმპორტის თვალსაზრისით პირველ ადგილზე, ხოლო ექსპორტის თვალსაზრისით მხოლოდ მეექვსე ადგილზეა. სწორედ ამიტომ ის რეაქცია რაც გამოავლინა თურქეთმა ნამდვილად არ იყო მოულოდნელი და გარკვეულ მიზეზ-შედეგობრივ გარემოებებს ემყარებოდა. ცხადია თურქეთის მთავარიამოცანა თურქეთთან ურთიერთობების დასტაბილურებაა და

საწინააღმდეგო პროცესების განვითარების შემთხვევაში მისი პოზიციები რეგიონში მნიშვნელოვნად შეირყევა, რაც ავღნიშნეთ უკვე.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ საქართველოს ომმა მიუხედავად მისი მოკლე ვადიანი პერიოდისა განაპირობა მნიშვნელოვანი ცვლილებები გლობალური მსოფლიოს პოლიტიკაში და რა თქმა უნდა რეგიონის მასშტაბითაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსი მეცნიერი იგორ ტორბაკოვი აღნიშნავს რომ ხუთდღიანმა ომმა მნიშვნელოვანი ,,ტექტონიკური ცვლილებები“ მოახდინა რეგიონის მასშტაბით, თუმცა ი. ტორბაკოვი ასვე აღნიშნავს რომ 2008 წლის ომს არანაირი გავლენა არ მოუხდენია რუსეთ-თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე და მათ შორის მიმდინარეობდა კონკურენცია დახვეწილი ელემენტებით, თუმცა ცხადია რომ 2008 წლის შემდგომმა პერიოდმა არაერთხელ გვაჩვენა თუ რამდენად დაძაბული ურთიერთობა იყო ამ ორ სახელმწიფოს შორის(თურქეთმა რუსეთის სამხედრო თვითმფრინავიც კი ჩამოაგდო). მან ასევე გამოავლინა რიგი ძირითადი ფაქტორები და ტენდენციები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთქმედების მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში. ამ ტენდენციებს შორისაა მოსკოვის მზარდი მდგრადობა, რაც მას "პრივილეგირებული ინტერესების" ზონებისკენ მოუწოდებს.

ამ ქვეთავში ჩვენს უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს განვიხილოთ რუსეთ საქართველოს ომი, ჩვენი მთავარი მიზანია განვიხილოთ თურქეთის დამოკიდებულება კონფლიქტისადმი.

სამხრეთ ოსეთში სააკაშვილის მთავრობის თავგადასავლისა და რუსეთის დაუნდობელი რეაქციის შედეგად თურქეთის აკადემიურ-სამთავრობო წრეები აცნობიერებდნენ, რომ ევრაზიაში ახალი და მკაცრი პოლიტიკური თამაში იწყება და ანკარას მოუწევს ახალი საიმედო გზების ძიებას რუსეთთან ურთიერთობებში. კავკასიაში რუსეთის მხრიდან ძალაუფლების განზრახ დემონსტრირების შემდეგ თურქ ანალიტიკოსებს ეჭვიც არ ეპარებოდათ რომ მოსკოვი რეგიონალური

ჰეგემონიისკენ მიისწრაფვის. ეს იყო სწორედ ამბივალენტური სიტუაცია რომელიც აგვისტოს ომის დროს არსებობდა კავკასიაში. ამ სიტუაციის ძირითადი მახასიათებელი იყო, რეგიონში კონფლიქტების პარალელურად თურქეთის ,,პოლიტიკური ყოფნა“ ,,გაყინულ“ მდგომარეობაში. მიუხედავად იმისა რომ თურქეთი არ აღიარებს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობას, მათი მხრიდან საქართველოსადმი მნიშვნელოვანი დახმარებაც არ ყოფილა, რაც სწორედ გაყინულ მდგომარეობაში ყოფნამ განაპირობა, თუმცა მსგავსი როლის მორგებამ და ,,მრავალგანზომილებიანი პარტნიორობის“ შენარჩუნებამ თურქეთისათვის უმნიშვნელოვანისი როლი შეასრულა.

თურქეთი წარმოადგენს ნატოს წევრსა და ამერიკის მოკავშირე სახელმწიფოს, მიუხედავად ამჟამინდელი ურთიერთობების გაუარესებისა. 2008 წლის ომმა ცხადყო რომ თურქეთი რუსეთთან კონკურენციაში ვერ შევიდოდა ძალისმიერი მეთოდებით რეგიონის მასშტაბით ამიტომ საჭირო იყო ახალი გზების მოძიება რაც მათ გავლენებს გაზრდიდა რეგიონალურ დონეზე. თურქეთის მთავარი ვექტორი გადაიწია იდეოლოგიური მხარისკენ ძალისმიერიდან და დაიწყო ,,გეოპოლიტიკური პლურალიზმის“ შენარჩუნებისა და მეტად ხელშეწყობის პოლიტიკის აქტიური წარმოება. ,,გეოპოლიტიკური პლურალიზმი“ მიზნად ისახავს რეგიონის სახელმწიფოების პოლიტიკური სუვერენიტეტის გაძლიერებას და ხელშეწყობას რეგიონის სახელმწიფოებისათვის ევროინტეგრაციის საქმეში. დღეისათვის ყველასთვის ნათელია რომ თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ევროინტეგრაციას და მაქსიმალურად ცდილობს ერთგვარი ხიდი იყოს ევროპასთან, ცხადია ეს ყოველივე უმიზეზოდ არ ხდება და ემსახურება თურქეთის ინტერესების გაძლიერებას რეგიონში. მეტი ევროკავშირი ან მეტი ნატო საქართველოში გულისხმობს ნაკლებ რუსეთს საქართველოში, თუმცა მივიღებთ რადიკალურად განსხვავებულს სურათს და ჩვენ ვიქნებით რეალობაში სადაც თურქეთი წარმოდგენილი იქნება როგორც ექსპანსიონისტური სახელმწიფო. საქართველოსათვის რა თქმა უნდა უპირველეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს

ევროკავშირში ინტეგრაცია, თუმცა მაქსიმალურად უნდა ხდებოდეს რეგიონის მასშტაბით ლიდერი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის შეფასება და დროულად უნდა იქნას აცილებული რისკები და საფრთხეები.

ი. კოგანის თვალთახედვით გარკვეულ წინააღმდეგობათა მიუხედავად ანკარა დარწმუნებულია რომ შავი ზღვის რეგიონში მას შეუძლია ეფექტური მოქმედება თანამშრომლობა რუსეთთან ერთად, ასევე ხაზს უსვამს რომ რუსეთ-თურქეთი ერთობლივად მოახდენენ რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფას. შედეგად ანკარა ხელს უშლია ნატოს საწვრთნელ ოპერაციებს შავზღვაში, რაც პირდაპირ მიუთითებს თურქებისადმი დამოკიდებულებაზე. ანკარას ღრმად სწამს რომ რუსეთთან ნერგეტიკული, კულტურული და პოლიტიკურ ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესება კავკასიას ჩამოაყალიბებს მეტად სტაბილურ რეგიონად.

2008 წლის ომმა აჩვენა რომ თურქეთი ნაკლებად აყენებს საქართველოს როგორც ,,პოტენციური მეგობრის“ პოზიციაში და თავისი თითოეული ქმედება გამომდინარეობს საკუთარი ინტერესებიდან, ანუ საგულისხმოა ის ფაქტი რომ ომის შემდგომ პერიოდში არაერთი ვიზიტით იმყოფებოდნენ თურქეთის დელეგაციის წარმომადგენლები აფხაზეთში, რამაც საქართველოში აბსოლიტურად ობიექტურად აღშფოთება გამოიწვია. თურქეთი ოფიციალურად საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს. მიუხედავად იმისა რომ გაეროს წევრი 193 ქვეყნიდან 188 არ ღიარებს აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ის მიჩნეულია დე ფაქტოდ 1994 წელს დადებული ზავის შედეგად, ამ მიზეზთა გამო თურქეთსა და აფხაზეთს შორის ოფიციალური კავშირები არ არსებობს, თუმცა თურქეთის აფხაზური დიასპორის დაჯგუფებები (რომელთა საერთო რაოდენობა არაოფიციალური მონაცემებით 150000 ადამიანზე მეტია) თურქეთის მთავრობისათვის შეიძლება შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი ლობიზმის მიმართულებით და ზოგ შემთხვევაში დე ფაქტო სახელმწიფოს მთავრობამ შეიძლება

გამოიყენოს, უხეშად, საერთაშორისო სამართლის წესების დარღვევით და გავლენა მოახდინონ თურქეთის მთავრობაზე აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. 2014 წლის ზაფხულში თურქულმა სამთავრობო-სახელმწიფო დაწესებულებებმა აფხაზურ დიასპორას საერთაშორისო სამართლის დარღვევით უფლება მისცა აფხაზურ მხარეს სტამბოილში საარჩევნო პუნქტი მოეწყო. სადაც შესაძლებელი იქნებოდა პირდაპ[ირი გზით არჩევნებში ჩართულობა და სასურველი კანდიდატის არჩევა. 2009 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა სპეცდიალური გასატარებელი ახლებური გეგმა, რომლის მთავარი მიზანიც არის ,,ურთიერთობა აღიარების გარეშე" და იქ რუსული პროპაგანდისტული პოლიტიკისათვის არაპირდაპირი ხელ;ის შეშლა რაც ნამდვილად მნიშვნელოვანი ამოცანაა. რაც ერთგვარი მხარდაჭერაა მრავალმხრივი გახადოს სოხუმსა და თბილისს შორის ურთიერთობები. აღნიშნული განზრახვა მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთიდან მომდინარე საფრთხის გამო, სადაც ევროკავშირი მიკერძოებულ მხარედ აღიქმება. თურქეთი კი აფხაზეთში თავისი ინტერესების გატარებისა და იზოლაციის შემცირებისკენ მოწოდებულ მსგავსს პოლიტიკას დიდი ხნის განმავლობაში ახორციელებს.

დასკვნა

ამრიგად საქართველო წარმოადგენს იმპერიალისტური იდეებით შეპყრობილ სახელმწიფოთა ინტერესს, რომლებიც მიმართულნი არიან ძველი დიდების აღსადგენად, თურქეთი - ოსმალური სიდიადის დაბრუნებისკენ მიისწრაფვის, ხოლო რუსეთი ცდილობს შექმნას არაპირდაპირი საბჭოთა კავშირი. აღნიშნული ქვეყნები საქართველოში ექსპანსიონისტური პოლიტიკის გასატარებლად სხვადასხვა გზებს მიმართავენ თურქეთი - ეკონომიკურ ექსპანსიონიზმს იყენებს; რუსეთი-რბილი ძალის პოლიტიკას, საქართველო კი ამ ურთიერთობებში ძალთა დისბალანსის გამო ნეგატიური შედეგების მოლოდინშია.

პირველი საკვლევი კითხვის შესაბამისად საქართველოზე რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები უდიდეს გავლენას ახდენს. როგორც უკვე ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გავაანალიზეთ, მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობების ძირითად საკითხს ყოველთვის წარმოადგენდა საქართველო და ხშირ შემთხვევაში ხდებოდა ტერიტორიების გადანაწილებაც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი პოლიტიკური სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა, რაც აისახება საქართველო-

თურქეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცებით, თუმცა მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობები უდიდეს გავლენას ახდენს საქართველოზე, მაგ. რუსეთსა და თურქეთს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებამ საქართველოზეც აისახა ტურიზმთან დაკავშირებით/

მეორე საკვლევი კითხვის შესაბამისად თურქეთი თავისი ინტერესების გასატარებლად დღეისათვის საქართველოში იყენებს ძირითადად ეკონომიკური ექსპანსიონიზმის პოლიტიკის მეთოდებს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც რომ დავითოღლუს დოქტრინის მიხედვით ბათუმის ისტორიული ოლქი თურქეთის გავლენის ქვეშ არის მოქცეული, სადაც თურქეთი აქტიურად იყენებს რელიგიურ ფაქტორს და ცდილობს თურქეთისადმი განწყობები პოზიტიურობისკენ შეცვალოს.

მესამე საკვლევი კითხვის შესაბამისად რუსეთ-თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ცივი ომის შემდეგ მეტად შეიცვალა. იმის გამო რომ ცივი ომის პერიოდში თურქეთი ფაქტობრივად ჩაკეტილ კარის პოლიტიკას ატარებდა და დახურული იყო გარე სამყაროსთვის, საბჭოთა კავშირის დაშლამ მათი პოლიტიკა რადიკალურად შეცვალა. თურქეთი ცდილობს გახდეს რეგიონში დომინანტი სახელმწიფო, თუმცა 2008 წლის შემდეგ მათი დამოკიდებულება გარკვეულწილად შეიცვალა, რუსეთის ხისტი პოლიტიკის წარმოების გამო, თურქეთს კი საპასუხოდ შესაბამისი ბერკეტები არ აღმოაჩნდა, მიუხედავად მსგავსი პოლიტიკური მიმდინარეობისა, საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები, წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ პარტნიორებს, რაზეც არაერთი მნიშვნელოვანი ენერგო პროექტი და განხორციელებული ინვესტიცია მეტყველებს.

ჰიპოთეზაში გამოთქმული მოსაზრება სრულად დასტურდება მოცემულ ნაშრომში განხილული ფაქტების მიხედვით და ადასტურებს რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები ძირითადად მიმართულია კავკასიის რეგიონში დომინაციისკენ, რეგიონში სადაც საქართველოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მდებარეობა აქვს. ნეოოსმალიზმი გახდა საფუძველი თურქეთის საგარეო პოლიტიკისა, რომლის ერთერთ ფუძემდებლად შეიძლება მივიჩნიოთ დავითოღლუ, 1990 წლის შემდეგ

თურქეთი აქტიურად ცდილობს გახდეს დომინიონი რეგიონში, რაშიც ხელს უწყობს სხვადასხვა პროექტების განხორციელებაც, ყველაზე მნიშვნელოვანს კი წარმოადგენს სამხრეთის ნაკადი.

ჰიპოთეზაში გამოთქმული მოსაზრება რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებთან დაკავშირებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ განვითარებული მოვლენების აღწერითაა დადასტურებულია, რაც აიხსნება იმითი რომ ომის მიმდინარეობისას თურქეთი ფაქტობრივად აღმოჩნდა გაყინულ მდგომარეობაში და მხოლოდ მოვლენების განვითარებაზე დაკვირვებით შემოიფარგლებოდა, რაზეც მიუთითებს მონტრეს 1936 წლის ხელშეკრულების, რომლის მიხედვითაც მან სრუტეებში ჰუმანიტარული დახმარება არ გამოატარა. 2008 წლიდან თურქეთმა მნიშვნელოვნად გაზარდსა თავისი ინვესტიციები საქართველოში, რაც ასახულია სტატისტიკურ მონაცემებშიც.

ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგიური ჩარჩო ეფუძნება პოლიტიკურ რეალიზმს-ნეორეალიზმს. აღნიშნულმა თეორიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ნაშრომზე, იმდენად, რამდენადაც ნათლად წარმოაჩინა რუსეთ-თურქეთის პოლიტიკის განმსაზღვრელი მამოძრავებელი ძალა. ისტორიული და ამჟამინდელი პოლიტიკური მიმდინარეობის გაანალიზების პროცესმა და პოლიტიკური რეალიზმის შესაბამისობამ არსებულ პროცესებთან ცხადყო რომ აღნიშნული მეთოდოლოგიით ჩვენ ნათლად წარმოვადგენდით და წარმოვადგინეთ საქართველოს მეზობელ სახელმწიფოთა ინტერესების ის სეგმენტები, რაც განსაზღვრავს მათ რეგიონულ პოლიტიკას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. რონდელი ,,მოსკოვის ინფორმაციული პოლიტიკა და
2. ა. სურგულაძე ,,საქართველოს და თურქეთის ურთიერთობათა ისტორიისათვის; წარსული და თანამედროვეობა“
3. გ. ჟუჟუნაშვილი ,, ყარსის ხელშეკრულების სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტების განხილვა თანადროულ ქართულ პრესაში
4. დ. კუხალაშვილი ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასცემა და მისი მიზეზები“
5. ე. კუზმინა ,,რუსეთ-საქართველოს ენერგოდიალოგი სინამდვილეში“
6. ექსპერტის აზრი, გია ჯანდიერი; ,,თურქულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები“

7. ვ. გურული ლ. ჯიქია ,,ტაო-კლარჯეთის, ლაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში“
8. ზ. აბაშიძე ,,ცივი ომი, წარსული თუ დღევანდელობა“
9. ი. კოგანი ,,რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები და რეალური ვითარება შავი ზღვის რეგიონში
10. მ. კომახია ,,თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია“
11. ნ. დურმიშიძე ,,რუსეთ-თურქეთის ისტორიულ შეთანხმებათა როლი და მნიშვნელობა საქართველოსთვის.
12. ქართული დიპლომატიის წელიწდეული, ფაჰრეთინ ჩილოღლუ ,,პპოსტსაბჭოთა შედეგები ქართულ და თურქულ პოლიტიკაში“
13. შ. ვადაჭკორია ,,საქართველოს პირველი რესპუბლიკა და ოსმალეთის ექსპანსიური პოლიტიკა“
14. Anita Sengupta ,,myth and rhetoric of the Turkish model”
15. Eugene Kogan ,,Georgian-Turkish relations: beyond the headlines”
16. Igor Torbakov ,,The Georgia crisis and Russia-Turkey relations”
17. The Davutoğlu Doctrine and Turkish Foreign Policy | loannis N. Grigoriadis